საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 47 (849) | შაბათი, 26 მარტი, 1994 წელი | ფასი 3000 კუპონი

დეპეშა ზაარლანდიდან

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ღრმად პატივცემულო ბატონო ედუარდ!

იხარული ვარ, რომ ამა წლის 20 თებერვალს საქართველოსა და ანდიას შორის დამყარდა კიდევ ერთი სხაერო კავშირი, რაც შორის არსებულ ურთიერთობას წაადგება, როგორც პოლი- ურ, ასევე ეკონომიკურსა და ტურისტულ სფეროში.

ვიმედოვნებ, რომ გეგმები, მხარში ამოვუდგეთ ქართულ ტუ- ზმს, ავიაციას თანამედროვე ლაინერებით, ქართველი მფრინავე- ტექნიკოსებისა და სტიუარდესების მომზადებით, წარმატებით ხორციელდება.

უსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს მოღვაწეო- თქვენი სამშობლოს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის. უსურვებდი, რომ ერთხელ მაინც გვწვეოდით ზაარლანდს.

ოსკარ ლაფონტენი,
ზაარლანდის პრემიერ-მინისტრი.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ მერიმეს

ბატონო თავმჯდომარევ!

14 მარტს, ადგილობრივი დროით, დილის 8 საათსა და 45 წუთ- გუდაუთელ სეპარატისტთა ბანდებმა მასირებული საარტილე- ცეცხლი გაუხსნეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დურის ზონის მშვიდობიან სოფლებს ლათას, ჯენწვიშს, აჟარას, არიშარას, ხაჯენს. მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ახლაც არ წყდება დაბომბვა ჰაუბიცებითა და ნაღმტყორცნე- . თავს დაესხნენ სოფელ ლათას. დაღუპული და დაჭრილია ათო- მშვიდობიანი მცხოვრები.

აგრესიული სეპარატიზმის ამგვარი მოქმედება გაეროსა და მისი უშიშროების საბჭოს სამშვიდობო ძალისხმევის თავხედურ იგნორი- ბას წარმოადგენს. ეს სისხლიანი, ცინიკური აქცია კიდევ ერთ- ადასტურებს, რომ გუდაუთელ ლიდერებს არათუ არ სურთ აზეთში მშვიდობის დამყარება, არამედ ამ ლოკალური კონფ- ქტის შემდგომ ესკალაციას და მისი მეშვეობით გარეშე ფუნდა- ენტალისტური და იმპერიალისტური ძალების მიზნების განხორ- ციელებას ცდილობენ.

ჟაბა იოსელიანი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ საქართველოს რესპუბლი- კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 15 მაისიდან.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, დაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის სამინისტროებს, პროკუ- ტურას და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურს ამ კანონის მი- ღებასთან დაკავშირებით ამა წლის 30 აპრილამდე შეიმუშაონ და ამტკიცონ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს მოქალაქეთა ინ- დივიდუალური თავდაცვის საშუალების — აირის იარაღის შეძენის, ნახვის, ტარებისა და გამოყენების წესები;

განსაზღვროს მოქალაქეების ხელთ არსებული იარაღისა და საბ- რძოლო მასალის შესყიდვის წესი საბაზრო ფასების გათვალისწი- ნებით.

4. დაევალოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ამა წლის 30 აპრილამდე შეიმუშაოს და პარლამენტს წარმოუდგინოს წინადადე- ბი მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შე- ტანად.

5. ეთხოვოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ფართოდ აცნობონ მოსახლეობას, რომ პირი, რომელიც რეგისტრაციაში გაატა- რებს ან ნებაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღსა და საბ- რძოლო მასალას, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხის- მგებლობისაგან.

6. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საქარ- თველოს პარლამენტის იურიდიულ, მართლწესრიგისა და კანონიერე- ბის დაცვის, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიებს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი. 1994 წლის 15 მარტი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის გამარტივებული პროცედურით მიღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს გამარტივებული პროცედურით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი. 1994 წლის 15 მარტი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ცნობილ იქნეს პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლა- მენტის გამოკლებული წევრის თენგიზ აბულაძის ადგილმონაცვლის ჯოჯუას უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი, 1994 წლის 24 მარტი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
მესტიის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის შესახებ

დაინიშნოს ოთარ ნაკანი მესტიის რაიონის გამგეობის თავმჯდო- მარედ.

გათავისუფლდეს ელგუჯა ჭაფარიძე მესტიის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ე. შევარდნაძე

ოთარ ბესარიონის ძე ნაკანი დაიბადა 1952 წელს ქ. მესტიაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. არის ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა მესტიაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. უკანასკნელ პერიოდში მუშაობდა რესპუბლიკის კონტროლის პალატის ორგანიზაციისა და კოორდინაციის განყოფილების გამგედ.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში შედარებით უკეთესია. პროცესები მართვადია, მაგრამ სრულ სტაბილიზაციამდე შორსა ვართ, თქვა ამას წინათ პარლამენტის სხდომაზე სახელმწიფო მინისტრმა, დასავლეთ საქართველოს ზონის საგანგებო სიტუაციების დროებითი კომიტეტის თავმჯდომარემ გივი ლომინაძემ.

არც არის გასაკვირი: ვიდრე ფრონტის ხაზი ენგურზე გადის, ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერთა შემორიგების პროცესი არ დამთავრებულა (დღევანდელი ხელისუფლების ყველა მოწინააღმდეგემ როდი ჩამოგვართვა მეგობრულად ხელი) და დღემდე ვერც მათი განიარაღება მოხერხებულა, სრულ სიმშვიდემდე მართლაც შორია.

ახლახან, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომისიასა და იუსტიციის სამინისტროში შემუშავდა დებულება: „დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან არსებული ექსპრეზიდენტის ხელისუფლების მხარდამჭერთა შემორიგების საკითხთა დროებითი კომისიების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს შემორიგების საკითხთა კომისიის (ასე წოდება შემოკლებით) შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს, მათ კომპეტენციას.

როგორც ვიცით, გამსახურდია-ქობალიას რაზმებში გაერთიანებულ მებრძოლებს ჯერ კიდევ შარშან, ოქტომბერში მოუწოდა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ დანებებულიყვნენ ხელისუფლებას და ჩაებარებინათ იარაღი. ამავე დროს ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა მათ, ვისაც არ ჰქონდა ჩადენილი სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული. დანებებულთა საქმეების შესწავლა კი პროკურატურის ორგანოებს ევალებოდა. მაშ რატომღა გახდა აუცილებელი შემორიგების კომისიების შექმნა? ამის პასუხი და დებულების განმარტება ვთხოვეთ ბატონ გივი ლომინაძეს.

სამეგრელოს რაიონები, სამწუხაროდ, ინფორმაციულ შიმშილსაც განიცდიან, ამიტომ, განსაკუთრებით კი, გამოქვეყნებული მასალის აქტუალობის გამო ვთხოვთ კავშირგაბმულობის მინისტრს ფრიდონ ინჯიას ყველაფერი ილონოს, რომ ამ ნომერმა სამეგრელოში აუცილებლად ჩააღწიოს.

სრულ სიმშვიდემდე შორია

—**როცა** ქვეყანაში ქაოსია, — თქვა ბატონმა გივიმ, — როცა მის საკმაოდ დიდ ნაწილში უკანონო შეიარაღებული ფორმირებები თარეშობენ და არა მარტო ფორმირებები, არამედ, კრიმინალური შეიარაღებული ბანდები, რომლებმაც თავიანთი მოღალატური საქმიანობით ძირითადად განაპირობეს აფხაზეთში ბრძოლის წაგება, როცა შეიარაღება, მედიკამენტები ფრონტზე უნდა გაგზავნილიყო და არ გაიგზავნა, ზურგში კი ჩამოყალიბდა ისეთი მტრული ძალა, რომელიც, მოღალატეობის გარდა არას დაგიდევდა და შეხმატკბილებულად მოქმედებდა მტერთან ერთად, როცა იგი აშკარად შეეკრა დაქირავებულ გადამთიელებსა და აფხაზ სეპარატისტებს და ლამის ქუთაისამდე მოვიდა, ხელისუფლება იძულებული გახდა გაეტარებინა ძალისმიერი ღონისძიებანი. ისიც კარგად იცოდა ხელისუფლებამ, რომ იმ ძალებში უამრავი გზააბნეული, შემცდარი პირი იყო. სწორედ ამან განაპირობა სახელმწიფოს მეთაურის მიმართვა, რომელშიც ნათლად ჩანდა, რომ ხელისუფლება რეპრესიებით არ იყო დაინტერესებული. პროკურატურის ორგანოები შეამოწმებდნენ ნებაყოფლობით იარაღდაყრილ მოწინააღმდეგეებს და ყველას, ვინც არ იყო სამხედრო დამნაშავე, ვინც შეცდა ან მოტყუვდა, საქართველოს სახელმწიფო, პირადად ედუარდ შევარდნაძე, როგორც სახელმწიფოს მეთაური მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შეიწყალებდა, ჰუმანურად მოეპყრობოდნენ და ხელს შეუწყობდნენ საკუთარ ოჯახებში მშვიდობიან დაბრუნებაში. ბევრმა შეისმინა ეს მოწოდება, ბევრმა არა. სამართალდამცავ ორგანოებშიც მოხდა გაუგებრობა. მაშინ, როცა არსებული ხელისუფლების მხარეზე გადმოსულები მხოლოდ პროკურატურის ორგანოებს უნდა შეემოწმებინა, იგივე საქმე დაიწყეს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებმა, თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებმა, კონკრეტულმა თანამდებობრივი ცენზის მქონე, მაგრამ ამ საკითხში არაკომპეტენტურმა პირებმა, რასაც მოჰყვა პროვოკაციული ჭორები, ასევე, ცალკეული სამართალდამცავი სტრუქტურების და, ბევრ შემთხვევაში კონკრეტული სუბიექტების მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი. სწორედ ამან განაპირობა აუცილებლობა, შექმნილიყო ისეთი ინსტიტუტი, რომელიც გამოავლენს დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონაში არსებულ ექსპრეზიდენტის მხარდამჭერ ორგანიზებულ ჯგუფებსა და შეიარაღებულ ფორმირებებს, აგრეთვე, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ სხვა ფორმით მოქმედ პირებს და კოლეგიალურად, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით განიხილავს მათ მოქმედებას.

აქვე ვიტყვი, რომ კომისიის დადებით გადაწყვეტილებას კანონის ძალა არა აქვს, ის არ წარმოადგენს ამ საკითხის გადაწყვეტის ბოლო ინსტანციას. იგი სწავლობს ამა თუ იმ რაიონის, ქალაქის საზოგადოებრიობის აზრს, რომელსაც გააცნობს პროკურატურის ორგანოებს, მათ კი თავიანთი გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გაითვალისწინონ იგი. თუ გამოძიებით არ იქნება დადგენილი კონკრეტული პირის მიერ მძიმე სახის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა.

შემორიგების კურსით

შემორიგების საკითხთა კომისიები იქმნება დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის რეგიონული და რაიონული მმართველობის ორგანოებთან.

— ვინ შევა კომისიათა შემადგენლობაში?

— რეგიონის (რაიონის) სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები, შესაბამისი საარჩევნო ოლქიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დეპუტატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, თანაბარი ხმის უფლებით.

— თუ შეიძლება ორიოდე სიტყვა შემორიგების კომისიის უფლება-მოვალეობებზე.

— სამართალდამცავი, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია საქართველოს ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში მყოფი იმ პირების, პირთა ჯგუფებისა და შეიარაღებული ფორმირებების გამოსავლენად და შემოსარიგებლად, რომელთაც, როგორც ზემოთ ვთქვი, არ ჩაუდენიათ სისხლის სამართლის მძიმე სახის დანაშაული; თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას, რათა არ დაისაჯოს ხელისუფლების მოწინააღმდეგე ისეთი პირი, რომელიც სისხლის სამართლის დამნაშავე არ არის, ჩააბარა იარაღი, საბრძოლო მასალა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი ქმედებანი; ქმნის ყველა საჭირო პირობას, რათა ისინი დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებს; აძლევს მათ მშვიდობიანი ცხოვრების გარანტიებს და კიდევ სხვა...

— რას იტყვით კომისიის მუშაობის წესზე?

— ძირითადად იმუშავებს მოქალაქეთა ინდივიდუალური თუ ჯგუფური განცხადებების, აგრეთვე საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან, დაწესებულებებიდან შემოსული შუამდგომლობების და სამართალდამცავი ორგანოებიდან მიღებული წარდგინებების საფუძველზე. მასალები 10 დღეში უნდა განიხილონ და მიიღონ მოტივირებული დადგენილება.

— თუ დადგინდება, რომ პირის ან პირთა ჯგუფის ქმედება დანაშაულებრივია?

— მასალები გადაეცემა საგამოძიებო ორგანოებს.

— შეიძლება შემორიგების კომისიის მიერ მიღებული დადგენილების, ან საქმის განხილვასთან დაკავშირებული მისი მოქმედების გასაჩივრება?

— შეიძლება საგანგებო სიტუაციების ზონის დროებით კომიტეტში, რომელსაც უფლება აქვს გააუქმოს კომისიის დადგენილება.

— რამდენადაც ვიცი, საგანგებო ზონაში შემავალი ყველა ქალაქისა და რაიონის გამგეობებთან უკვე შექმნილია ამგვარი კომისიები. როდის მიიღებენ დებულებას სამოქმედოდ?

— დებულება უკვე დაგზავნილია და 10 მარტიდან მოქმედებს.

კიდევ ერთი იმედი სტაბილიზაციისკენ მიმავალ გზაზე, იქნებ არც ამაო.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

სხვა გაზეთებიდან

შინაგან საქმეთა სამინისტროებმა გადაწყვიტეს თანამშრომლობა

21 მარტს, მოსკოვში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტის დროს, გაიმართა პროგრამით გათვალისწინებული საუბარი რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრს, არმიის გენერალ ვიქტორ ერინსა და ქართული დელეგაციის ხელმძღვანელს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს გენერალ-ლეიტენანტ შოთა კვირაიას შორის.

საუბრის დროს მხარეებმა ერთმანეთს მიაწოდეს ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც ახორციელებენ ორივე სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტროები დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილეს ნარკოტიკების არალეგალური შეტანისა და ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე. განიხილეს შინაგან საქმეთა ორგანოების კადრების მომზადების სფეროში თანამშრომლობის საკითხები. იმავე დღეს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუსეთისა და საქართველოს რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა შოთა კვირაიამ პასუხი გასცა კორესპონდენტების კითხვებს:

— როგორ ვითარდება ურთიერთობა რუსეთისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის?

— თანამშრომლობა ისეთი დიდი სახელმწიფოს შინაგან საქმეთა ორგანოებთან, როგორიც რუსეთია, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

ბოლო დრომდე ჩვენი თანამშრომლობა საკმაოდ შეზღუდული იყო, რაც ხელს აძლევდა მხოლოდ დამნაშავეთა სამყაროს, ამჟამად ჩვენი თანამშრომლობა სულ უფრო ინტენსიური ხდება, ამაში დიდი როლი შეასრულა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ამასწინანდელმა ვიზიტმა თბილისში, როცა ხელი მოაწერეს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, ეს კი ხელს უწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას.

— რამ განაპირობა ამ შეთანხმების დადება?

— მინდა იმით დავიწყო, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაირღვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობები.

ეს შეეხო არა მარტო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ ამ ახლადშექმნილი სახელმწიფოების სამართალდამცავი ორგანოების მოღვაწეობასაც.

მიმაჩნია, რომ თანამშრომლობის გაუცხოველებლად არც ერთ მხარეს ცალ-ცალკე არ შეუძლია დამნაშავეობასთან ბრძოლაში სასურველ საბოლოო შედეგს მიაღწიოს.

მართლწესრიგი

შეუძლებელია არ გვაღელვებდეს ორგანიზებული დამნაშავეობა, კორუფცია და ნარკობიზნესი. ამ და სხვა დამნაშავეობის პროფილაქტიკისათვის აუცილებელია უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, უფრო პრაქტიკული სამართლებრივი ნორმები.

დამნაშავეობას არა აქვს საზღვრები. მხოლოდ იმის შეგნება, რომ ამჟამად არც ერთ ქვეყანას ცალკე არ შესწევს უნარი დასძლიოს დამნაშავეობის პრობლემა, მიიყვანა ქართული და რუსული მხარეები, რომ აუცილებელია საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შეთანხმების ხელმოწერა.

— როგორია ამ შეთანხმების შინაარსი, რას ითვალისწინებს იგი?

— შეთანხმება პირველ რიგში ითვალისწინებს ურთიერთმოქმედების განვითარებას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში და ორივე სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებების, კანონიერი ინტერესებისა და პიროვნული ღირსების თანასწორი საიმედო დაცვის უზრუნველყოფას.

შეთანხმება აგრეთვე ითვალისწინებს თანამშრომლობას ისეთი ძირითადი მიმართულებით, რომელიც მიზნად ისახავს პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და თავისუფლების ხელყოფის, ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან, ნარკობიზნესთან და სხვა სახის დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას.

მხარეებს შეუძლიათ, ერთმანეთს გაუზიარონ ოპერატიულ-სამძებრო, ოპერატიულ-საცნობარო და კრიმინალური ინფორმაცია, დახმარება აღმოუჩინონ ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების, აგრეთვე პროცესუალური მოქმედებების განხორციელებაში, მუშაობის გამოცდილება, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები და ა. შ.

შეთანხმება საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ თანამშრომლობა აგრეთვე სხვა მიმართულებებით, რაც წარმოადგენს ურთიერთინტერესს და არ ეწინააღმდეგება მხარეებს თანამშრომლობის სხვა ურთიერთმისაღები ფორმების შემუშავებასა და განვითარებაში.

— ამ შეთანხმების განხორციელების მექანიზმი?

— წინამდებარე შეთანხმების განხორციელების მექანიზმი ითვალისწინებს წინამდებარე შეთანხმების განხორციელებისას მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერ შესრულებას. მხარეები დააფუძნებენ თავის წარმომადგენლობებს თბილისსა და მოსკოვში, რომლებიც ამ ხელშეკრულებების გარანტები გახდებიან. მხარეებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ორივე ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროებთან შეიქმნას კომისიები, რომლებიც რეგულარულად კონტროლს გაუწევენ ამ შეთანხმების შესრულებას.

გაზეთი „სეგოდნია“.
ქ. მოსკოვი.

1994 წ. 22 მარტი.

გადავაქციოთ საქართველო ტრანსატლანტიკური უშიშროების დასაყრდენად

როგორც ვიუწყებოდით, 23 მარტს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში ხელი მოაწერა „მშვიდობისათვის პარტნიორობის პროგრამას“.

ხელმოწერის ცერემონიაზე სიტყვები წარმოთქვეს ნატოს გენერალურმა მდივანმა მანფრედ ვიორნერმა და ბატონმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ.

ქვემოთ, ჩვენი გაზეთის პირველ და მესამე გვერდებზე ვაქვეყნებთ ამ სიტყვებს.

ნატო-ს გენერალური მდივნის მანფრედ ვიორნერის სიტყვა

ბატონო საგარეო საქმეთა მინისტრო, ნება მიბოძეთ, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სახელით გულთბილად მოგესალმოთ ნატოში. დღეს საქართველო „მშვიდობისათვის თანამშრომლობასთან“ შეერთებით იწყებს ამ ალიანსთან ურთიერთობის ახალ ეტაპს.

მიუხედავად მრავალი სიძნელისა, რომლის პირისპირ აღმოჩნდით, თქვენმა ქვეყანამ კეთილი ურთიერთობა დაამყარა ნატოსთან. თქვენ იმდენად აქტიურად მონაწილეობდით ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს მუშაობაში, რამდენადაც ამის შესაძლებლობა გქონდათ. ამან მყარი საფუძველი შეუქმნა ჩვენს მომავალ თანამშრომლობას. „მშვიდობისათვის თანამშრომლობაში“ ეს არის გადამწყვეტი წინგადადგმული ნაბიჯი. სივრცე ამ ურთიერთობებისა ფართოა, ხოლო მიზანი უფრო მრავალისმომცველი, ვიდრე ამჟამინდელი მიდგომა. ეს კი მყარი და ინტენსიური თანამშრომლობის საწინდარია.

„მშვიდობისათვის თანამშრომლობა“ შესაძლებლობას აძლევს პარტნიორ ქვეყნებს ნატოსთან ერთად შეიმუშაონ ერთობლივი გეგმები, გაიარონ წვრთნა და ვარჯიშები მშვიდობის დაცვის მისიათა და ჰუმანურ ოპერაციათა განსახორციელებლად საკუთარ შესაძლებლობათა სრულყოფის მიზნით.

ამ ქვეყნებთან თანამშრომლობის დაწყებით საქართველო, ამასთანავე, ადასტურებს, რომ ის იზიარებს ამ კავშირის მიერ დასახულ მიზანს — დემოკრატიული, მშვიდობიანი და სტაბილური ევროატლანტიკური წესრიგის შექმნას. ჩვენი ქვეყნები ვერ შეძლებენ ამას დამოუკიდებლად. ასევე დაუშვებელია ამის ძალდატანებით განხორციელება. ეს არის ყველა იმ ქვეყნის მოვალეობა, ვინც იზიარებს ამ თვალსაზრისსა და ამავე დემოკრატიულ პრინციპებზე დგას. მწამს, რომ საქართველოს ღირსეული ადგილი უჭირავს ევროატლანტიკური კავშირის ფართო გაერთიანებაში. ალიანსი მხარს უჭერს ურთიერთობას იმ ერებსა და ხალხებს შორის, რომლებიც ხელმძღვანელობენ დემოკრატიული ფასეულობებით, ორმხრივი პატივისცემით და არა მხოლოდ ინტერესთა სფეროებით.

ამ პარტნიორობით ჩვენ გავაღრმავებთ და გავაძლიერებთ პოლიტიკურ და სამხედრო თანამშრომლობას მთელ ევროპაში. ამ თანამშრომლობითა და საერთო ძალისხმევით გავზრდით პასუხისმგებლობას იმ პრინციპების მიმართ, რომელიც ჩვენი დემოკრატიის საფუძველია.

ჩვენ, ამ ალიანსში გაერთიანებულნი, განვიცდით საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობას. ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს უკანასკნელ მოვლენებს. დიდი სიამოვნებით ვიხსენებ ბატონი ედუარდ შევარდნაძის ივნისის ვიზიტს. მისი ხელმძღვანელობის დროს საქართველომ მოიპოვა განსაკუთრებული ადგილი თანამედროვე მსოფლიოში, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ცოტამ თუ მოახერხა. ბატონი შევარდნაძის ამასწინანდელი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გაეროში იყო აშკარა წარმატება, რამაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით დაადასტურა ის თანაგრძნობა და ფართო გაგება, რომლითაც სარგებლობს საქართველო ღია საბაზრო ეკონომიკის პრობლემების გადაჭრის რთულ გზაზე.

მოკავშირეები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს. ჩვენ დავგმეთ აფხაზეთის მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ივლისის მოლაპარაკების დარღვევა და მხარი დავუჭირეთ კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარებას. ეს კონფლიქტი ადამიანთა დიდი მსხვერპლისა და უბედურების ფასად დაჯდა.

კავკასიის სამხრეთი ნაწილის პრობლემები მთლიანობაში განხილულ იქნა იანვარში ნატოს წევრი ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაზე ბრიუსელში. შეხვედრის დეკლარაციაში ნათლად გამოხატულია ჩვენი დამოკიდებულება ამ პრობლემებისადმი. დეკლარაციაში დაგმობილია ძალის გამოყენება ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით და აღნიშნულია, რომ ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის პატივისცემას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობის და თანამშრომლობის დასამყარებლად. ხელი ნატოს ჯგუფი ეწვევა საქართველოს იმისათვის, რომ დაწვრილებით წარმოუდგინოს საქართველოს მხარეს თანამშრომლობისათვის აუცილებელი პროცედურები და შესაძლებლობები.

საქართველო დიდი ტრადიციებისა და განსაკუთრებული თვითმყოფადობის მქონე უძველესი ქვეყანაა. საქართველო მიილტვის იმისაკენ, რომ ევროპაში მოიპოვოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი. მე დიდი იმედით ველი საქართველოსა და ალიანსის ურთიერთობის შემდგომ ეტაპს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ნაყოფიერი იქნება.

მერვე სვეტი

ხორცი — 200 ათასი კუპონი

საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის მუშათა მომარაგების გაერთიანებამ მეორე თვეა, რაც დაიწყო რესპუბლიკის რკინიგზელთა მომარაგება ნორმირებული პროდუქტებით.

— ჩვენ მიერ შემოთავაზებული პროდუქტების ასორტიმენტში, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან თენგიზ ჩიკვაიძესთან საუბარში გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა გივი ასაშვილმა, — არის ფქვილი, კარტოფილი, ხორცი, მარგარინი, შაქარი, რძის კონსერვები, სიგარეტები. ხელმისაწვდომია ფასებიც. მაგალითად, კილოგრამი კარტოფილი 15-20 ათასი კუპონი ღირს, კილოგრამი იმპორტული მარგარინი — 80 ათასი კუპონი, ხორცი — 200 ათასი კუპონი. ყოველი ასეთი ულუფის საერთო ღირებულება რკინიგზელის საშუალო ყოველთვიური ხელფასის დაახლოებით მესამედს შეადგენს.

სხვა არაფერი, ვალების გარდა

დსს „იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტიდან აცნობეს, რომ მიმდინარე წლის 1 თებერვლის მდგომარეობით რესპუბლიკაში ბანკის სესხების და მიმწოდებლების ვადაგადაცილებული დავალიანების თანხამ 1015,7 მლრდ. კუპონი შეადგინა, რაც 88,9-ჯერ აჭარბებს გასული წლის ანალოგიური თარიღისთვის არსებულ დონეს. 58,8-ჯერ გაიზარდა მიმწოდებლების ვადაგადაცილებული დავალიანება და 833,1 მლრდ. კუპონი შეადგინა, ბანკის სესხების ვადაზე გადაუხდელობის თანხამ კი 1 თებერვლისთვის 182,6 მლრდ. კუპონი (12,6-ჯერ მეტი) შეადგინა.

თვითმფრინავით გარანტირებულია

სააგენტო „იბერიის“ კორესპონდენტს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების სასურსათო სამსახურიდან აცნობეს, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფებას მოეხსნა სურსათის ცენტრალიზებული მომარაგება სარკინიგზო ხაზით ტვირთის ჩამოტანასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, ამიერიდან ტვირთი გამოიგზავნება თვითმფრინავებისა და ავტოკოლონათა მეშვეობით ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქიდან.

ამ დღეებში ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების თანამშრომელთა დახმარებით სურსათსანოვაგეს მიაწვდიან ახალქალაქის გარნიზონს.

შეჩვეულს ნუ გადააჩვევ

როგორც სააგენტო „იბერიის“ კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, რუსმა მესაზღვრეებმა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველო-თურქეთის საზღვარზე დააკავეს 100-მდე პირი, რომლებიც, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას ცდილობდნენ ორივე მიმართულებით.

„სარეკლამო პაუზა“ პირიქით

როგორც სააგენტო „იბერიის“ კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, უახლოეს ხანებში მოსალოდნელია სპეციალური დადგენილების მიღება, რომელიც იმავე ვადით შეზღუდავს კერძო, საკაბელო ტელევიზიო ქსელის მუშაობას თბილისში, დღეში 2 საათის ოდენობით, როგორც სახელმწიფო და კერძო კომპანიები არიან შეზღუდულნი. ეს გამოწვეულია მწვავე ენერგოკრიზისით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ცეცხლსასროლი იარაღის ცნება, სახეობანი და დანიშნულება

ცეცხლსასროლია იარაღი, რომელშიც ჭურვი ბიძგს იღებს დენთის აირის მოქმედების შედეგად. იარაღად ჩაითვლება ნებისმიერი ტექნიკური თუ სხვა საშუალება, ხელსაწყო, მოწყობილობა, რომელიც განსაზღვრულია შეტევითი სროლის, თავდაცვის, სპორტისა და ნადირობისათვის, აგრეთვე ჭურვი და სხვა სახის ტყვია-წამალი, რომლის გამოყენება შეიძლება საბრძოლო მასალად.

ეს კანონი ადგენს შემდეგ სახეობათა და დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღის (შემდგომში იარაღის) სამართლებრივ რეჟიმს:

1. სამხედრო-საბრძოლო იარაღი; 2. სამსახურებრივ-საშტატო იარაღი; 3. სანადირო იარაღი; 4. სასპორტო იარაღი; 5. ჯილდოდ მიღებული იარაღი; 6. საკოლექციო იარაღი.

იარაღისათვის კონკრეტული სახეობის მიკუთვნება ხდება იარაღის სახელმწიფო კადასტრით, რომლის შედგენის წესსა და პირობებს განსაზღვრავს ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 2. იარაღის აღრიცხვა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული იარაღი, მისი დამზადების ადგილის მიუხედავად, ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვასა და რეგისტრაციას.

მუხლი 3. იარაღის დამზადება, შეკეთება, აწყობა და აღდგენა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იარაღსა და საბრძოლო მასალას ამზადებენ, იარაღს აწყობენ და ძირითად ნაწილებს აწარმოებენ იურიდიული პირები სპეციალური ნებართვით (ლიცენზიით), რომელსაც გასცემს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

იარაღის შეკეთება და აღდგენა ხორციელდება სპეციალური ნებართვით, რომელსაც გასცემს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის სარგებლობაში არსებული იარაღის შეკეთებისა და აღდგენის წესს განსაზღვრავს ამ უწყებათა ნორმატიული აქტები.

უნებართვოდ იარაღის, მისი ძირითადი ნაწილებისა და საბრძოლო მასალის დამზადება, აწყობა, აღდგენა და შეკეთება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. იარაღის ვაჭრობა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იარაღისა და საბრძოლო მასალების ვაჭრობას აწარმოებენ იურიდიული პირები სპეციალური ნებართვით (ლიცენზიით), რომელსაც გასცემს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 5. უარი ნებართვის გაცემაზე

იარაღისა და საბრძოლო მასალის დამზადების, აწყობის, აღდგენისა და შეკეთების ნებართვა (ლიცენზია) არ მიეცემა პირს, თუ მას არა აქვს სათანადო ცოდნა და ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, აგრეთვე თვრამეტ წლამდე პირს, სულით ავადმყოფს, არაქმედუნარიან პირს, ნარკომანს და ალკოჰოლიკს, ნასამართლევ პირს (თუ მას მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა), აგრეთვე პირს, რომლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან შინაგან საქმეთა ორგანოებში, გახსნილია სამეთვალყურეო-პროფილაქტიკური საქმე ოჯახურ ან მეზობლურ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

მუხლი 6. იარაღის შეძენა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვის საფუძველზე შეუძლიათ საკუთრების უფლებით შეიძინონ ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი მე-3, მე-4 და მე-6 სახეობის იარაღი და შესაბამისი საბრძოლო მასალა, აგრეთვე მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (პისტოლეტი, რევოლვერი შენახვის უფლებით). დასაშვებია იარაღის შეძენა ნებართვის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში.

პირი, რომელიც ნებართვით შეიძენს იარაღს, ვალდებულია ათი დღის ვადაში რეგისტრაციაში გაატაროს იგი შინაგან საქმეთა ორგანოებში.

იარაღის შეძენა ეკრძალება თვრამეტ წლამდე პირს, სულით ავადმყოფს, არაქმედუნარიანს, ნარკომანს და ალკოჰოლიკს, ნასამართლევ პირს (თუ მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა), აგრეთვე პირს, რომლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან შინაგან საქმეთა ორგანოებში გახსნილია სამეთვალყურეო-პროფილაქტიკური საქმე ოჯახურ და მეზობლურ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

უცხოელ მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და იურიდიულ პირს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იარაღის შეძენის უფლება მიეცემა (ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი 1-ლი და მე-2 სახეობის გარდა) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს და თუ უცხოელ მოქალაქეს აქვს იარაღის შეძენის ნებართვა იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც იგი არის.

მუხლი 7. იარაღის შენახვა

შეძენილი იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვის წესს და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში, შინაგან საქმეთა სამინისტროში და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურში იარაღი და საბრძოლო მასალა ინახება ამ უწყებათა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 8. იარაღის მესაკუთრენი და იარაღით მოსარგებლენი

იარაღის მესაკუთრეა პირი, რომელმაც იარაღი შეიძინა ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

იარაღის მოსარგებლეა პირი, რომელსაც თავისი სამსახურის ხასიათის გამო უფლება ეძლევა იქონიოს სამსახურებრივ-საშტატო იარაღი.

მუხლი 9. იარაღის და საბრძოლო მასალის გადაზიდვა და გადაგზავნა

იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს გაიტანოს იარაღი შენახვის ადგილიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის იარაღის გადაზიდვის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის ნორმატიული აქტებით.

აკრძალულია იარაღის და საბრძოლო მასალის გადაზიდვა და გადაგზავნა ფოსტით.

მუხლი 10. იარაღის ტარება და გამოყენება

იარაღის ტარების უფლება ნიშნავს მისი მოსარგებლის უფლებას თან იქონიოს იარაღი მუდმივად ან სამსახურებრივი დავალების შესრულების დროს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, გარდა განსაკუთრებული რეჟიმის ადგილებისა.

იარაღის დადგენილი წესით გამოყენების უფლება აქვს იარაღით მოსარგებლეს.

იარაღის მესაკუთრეს უფლება არა აქვს თან ატაროს იარაღი, გარდა მიზნობრივი დანიშნულების სანადირო იარაღისა.

მესაკუთრეს ეკრძალება იარაღის გამოყენება, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი 11. იარაღის საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვის შეწყვეტა

იარაღის საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვა წყდება, თუ:

1. გავიდა მოსარგებლისათვის მიცემული იარაღის ტარების ნებართვის დადგენილი ვადა;

2. შეწყდა იმ სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობა, რომელთან დაკავშირებითაც გაცემული იყო იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვა, ან შეწყდა პირის შრომითი ურთიერთობა იმ საწარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან, რომელსაც ასეთი ნებართვა ჰქონდა;

3. გარდაიცვალა იარაღის მფლობელი;

4. [illegible] იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვის, გადაგზავნისა და გამოყენების წესები;

5. გაუქმდა იარაღის შენახვისა და ტარების ნებართვა;

ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. იარაღის ჩამორთმევა

იარაღის ჩამორთმევა ხდება იმ სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელმაც გასცა იარაღის შეძენის, შენახვისა და ტარების ნებართვა, მე-11 მუხლში მითითებული იარაღის საკუთრების ან სარგებლობის ნებართვის შეწყვეტის საფუძვლების არსებობისას.

მუხლი 13. იარაღის კონტროლი

იარაღის დამზადებას, იარაღის ვაჭრობას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, ტარებასა და, გამოყენებას კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, რომლის გამგებლობას განეკუთვნება:

1. სამხედრო-საბრძოლო, სამსახურებრივ-საშტატო, სასპორტო და სანადირო იარაღის დამზადების ნებართვის გაცემა;

2. სამხედრო-საბრძოლო და სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დამზადების, იარაღის ვაჭრობის, შეძენის, შენახვის, ტარების და გამოყენების წესების განსაზღვრა;

3. საქართველოს რესპუბლიკაში იარაღის შემოტანის, გატანის და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტის კონტროლი;

4. საქართველოს რესპუბლიკის იარაღის სახელმწიფო კადასტრის დადგენა, იარაღის აღრიცხვისა და რეგისტრაციის წესის განსაზღვრა;

5. იარაღის კონტროლის შესახებ სხვა ნორმატიული აქტების შემუშავება.

მუხლი 14. შინაგან საქმეთა ორგანოების კომპეტენცია იარაღის კონტროლის დარგში

იარაღის კონტროლის დარგში საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:

1. იარაღის, მათ შორის საკოლექციო იარაღის შეძენის, შენახვის, შეკეთების და აღდგენის, ტარების, გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვის გაცემა (გარდა სამხედრო-საბრძოლო იარაღისა);

2. იურიდიული და ფიზიკური პირების საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული იარაღის აღრიცხვა-რეგისტრაცია;

3. ტირების, სასროლეთების, სასროლი სანადირო სტენდების, იარაღის შემკეთებელი და აღმდგენი სახელოსნოების გახსნის ნებართვის გაცემა;

4. იარაღის (გარდა სამხედრო-საბრძოლო იარაღისა) შეძენის, შენახვისა და ტარების წესების შესრულების კონტროლი;

5. იარაღის ჩამორთმევა საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. თვითნაკეთი იარაღი

თვითნაკეთია იარაღი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად დამზადებულია უნებართვოდ.

აკრძალულია თვითნაკეთი იარაღის რეგისტრაციაში გატარება და მასზე საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვის გაცემა.

თვითნაკეთი იარაღის დამამზადებელი, შემძენი, შემნახველი, მტარებელი და გამომყენებელი პირი პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრის და მოსარგებლის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 16. იარაღის დამამზადებლის უფლება-მოვალეობანი

იარაღის დამამზადებელს უფლება აქვს:

1. ნებართვის საფუძველზე დაამზადოს იარაღი და მიჰყიდოს დამკვეთს ამ კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული საკანონმდებლო აქტების თანახმად;

2. იყოს დამზადებული იარაღის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის მესაკუთრე საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3. განახორციელოს საკონსტრუქტორო სამუშაოები.

იარაღის დამამზადებელი მოვალეა:

1. გამოსცადოს დამზადებული იარაღი იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება იგი სახელმწიფო სტანდარტებს;

2. დამზადებული იარაღი და საბრძოლო მასალა აღრიცხოს სათანადო დავთარში, რომელშიც შეიტანება სამარკო ნიშანი და სააღრიცხვო ნომერი;

3. უზრუნველყოს დამზადებული იარაღისა და მისი სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე საბრძოლო მასალის და უსაფრთხოების წესების დაცვა.

მუხლი 17. იარაღის მესაკუთრის უფლება-მოვალეობანი

იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს:

1. ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს შეძენილ იარაღსა და საბრძოლო მასალას ამ კანონით დადგენილი წესით;

2. მიიღოს კომპენსაცია იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების ან რეკვიზიციის შემთხვევაში.

იარაღის მესაკუთრე მოვალეა:

1. აღრიცხოს, რეგისტრაციაში და ხელახალ რეგისტრაციაში გაატაროს შეძენილი იარაღი;

2. დროულად გადაიხადოს სარეგისტრაციო მოსაკრებელი;

3. დაიცვას იარაღის ტარების, გამოყენების, შენახვისა და გადაზიდვის წესი;

4. უზრუნველყოს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაცვა;

5. უზრუნველყოს იარაღის შენახვის ადგილებში დადგენილი წესით შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა დაშვება და მათთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა;

6. დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოებს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაკარგვა.

მუხლი 18. იარაღის მოსარგებლის უფლება-მოვალეობანი

იარაღის მოსარგებლეს უფლება აქვს:

1. შეინახოს და ატაროს იარაღი მისი მიღების პირობების შესაბამისად;

2. გამოიყენოს იარაღი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და წესით.

იარაღის მოსარგებლე ვალდებულია:

1. გამოიყენოს იარაღი მხოლოდ დანიშნულებისამებრ;

2. უზრუნველყოს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაცვა კანონით დადგენილი წესით.

დისლოკაციის ადგილების გარდა აკრძალულია შეიარაღებული ძალების მოსამსახურის სამხედრო-საბრძოლო იარაღით გადაადგილება სპეციალური ნებართვის გარეშე.

მუხლი 19. იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრის და მოსარგებლის უფლებების დაცვა

იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრისა და მოსარგებლის უფლებები შეიძლება შეწყდეს მხოლოდ ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრის და მოსარგებლის უფლებების დარღვევის გამო დავას წყვეტს სასამართლო.

თავი III

სამხედრო-საბრძოლო იარაღი

მუხლი 20. სამხედრო-საბრძოლო იარაღის ცნება

სამხედრო-საბრძოლოა იარაღი, რომელსაც დანიშნულებით იყენებენ დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა, შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის ორგანოები.

იარაღისა და საბრძოლო მასალისთვის სამხედრო-საბრძოლო იარაღის კატეგორიის მიკუთვნებას განსაზღვრავს იარაღის სახელმწიფო კადასტრი.

მუხლი 21. სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადება

სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადება ხდება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროების და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის დაკვეთით იმ საწარმოებში, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ნებართვა.

მუხლი 22. სამხედრო-საბრძოლო იარაღის შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გამოყენება

სამხედრო-საბრძოლო იარაღის შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გამოყენება ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, თავდაცვისა, შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 23. სამხედრო-საბრძოლო იარაღის კონტროლი

სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადებას, შეძენას, შენახვას, გადაგზავნას, გადაზიდვას და გაყიდვას, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოტანას, გატანასა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტს კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თავი IV

სამსახურებრივ-საშტატო იარაღის მოსარგებლეთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 24. სამსახურებრივ-საშტატო იარაღი

სამსახურებრივ-საშტატოა იარაღი, რომელსაც იურიდიული პირი იყენებს იმ მუშაკთა შესაიარაღებლად, რომელთაც სამსახურის ხასიათის გამო ნებადართული აქვთ ატარონ იარაღი.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ:

— საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს;

— საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს;

— საქართველოს რესპუბლიკის სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებს.

იმ უწყებათა და თანამდებობათა ნუსხას, რომელთაც სამსახურებრივი საქმიანობის ხასიათის გამო შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღი, ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად, ხოლო გასცემს შინაგან საქმეთა სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს პარლამენტის წევრებს შეუძლიათ ჰქონდეთ, ატარონ და ისარგებლონ სამსახურებრივ-საშტატო იარაღით (გარდა ავტომატურისა). ეს უფლება მათ უნარჩუნდებათ დეპუტატის უფლებამოსილების გასვლის შემდეგაც.

მუხლი 25. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება

სამსახურებრივ-საშტატო იარაღი პირს მიეცემა სარგებლობაში, თუ მას აქვს ამ იარაღის ტარების ინდივიდუალური ნებართვა.

ინდივიდუალურ ნებართვას გასცემენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები თავისი ნორმატიული აქტების შესაბამისად იმ უწყების შუამდგომლობის საფუძველზე, რომლის მუშაკებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება.

მუხლი 26. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გამოყენება

პირს, რომელიც სარგებლობს სამსახურებრივ-საშტატო იარაღით, უფლება აქვს გამოიყენოს იარაღი საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის ასაკვეთად ან დამნაშავის შესაპყრობად.

იარაღის გამოყენების ყველა შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების გადამეტებისათვის პირი პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 27. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა

სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა ხდება ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

თავი V

სანადირო იარაღი

მუხლი 28. სანადირო იარაღის ცნება

სანადიროა ყოველგვარი ცეცხლსასროლი გლუვლულიანი, კომბინირებული და კუთხვილი იარაღი, რომელსაც იძენს იურიდიული და ფიზიკური პირი სარეწაო, სასპორტო-სამოყვარულო და სამეცნიერო ნადირობისათვის და რომლის საცეცხლე სიმძლავრე არ სცილდება ამ მიზნის ფარგლებს.

მუხლი 29. სანადირო იარაღის დამზადება

სანადირო იარაღი მზადდება ამ კანონის მე-3 მუხლის და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

მუხლი 30. სანადირო იარაღის შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა და გადაგზავნა

სანადირო იარაღის შეძენის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვით.

სანადირო იარაღის ტარებისა და შენახვის ნებართვა არ მიეცემათ ამ კანონის მე-6 მუხლის მესამე ნაწილში ჩამოთვლილ პირებს.

უცხოელი მოქალაქენი სანადირო იარაღს იძენენ ამ კანონის მე-6 მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული წესით.

სანადირო იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვისა და გადაგზავნის წესებს განსაზღვრავს ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 31. სანადირო იარაღის გამოყენება

სანადირო იარაღის მესაკუთრეს და მოსარგებლეს უფლება აქვს ეს იარაღი გამოიყენოს მხოლოდ სარეწაო, სასპორტო-სამოყვარულო და სამეცნიერო ნადირობისათვის.

სანადირო იარაღის გამოყენების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 32. სანადირო იარაღთან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებანი

სანადირო იარაღის მესაკუთრეს აქვს სანადირო იარაღის გასხვისების უფლება ამ კანონით დადგენილი წესით. გასხვისების შემთხვევაში, იარაღის შემძენი პირი ვალდებულია იარაღი ხელახლა გაატაროს რეგისტრაციაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

იარაღის მესაკუთრის გარდაცვალებისას მემკვიდრეობის საკითხი გადაწყდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

სანადირო იარაღთან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებანი რეგულირდება ამ კანონით, სამოქალაქო კანონმდებლობით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

თავი VI

სასპორტო იარაღი

მუხლი 33. სასპორტო იარაღის ცნება

სასპორტოა იარაღი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო და ეროვნული სპორტული ფედერაციების სტანდარტებს და განკუთვნილია სპორტსმენების მოსამზადებლად, მათ მიერ საკვალიფიკაციო ნორმატივების შესასრულებლად და სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის.

მუხლი 34. სასპორტო იარაღის წარმოება, გამოყენება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა

სასპორტო იარაღის წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა ხდება ამ კანონის და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

სასპორტო იარაღის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით სპეციალურად მოწყობილი სპორტული ობიექტების ტერიტორიაზე.

თავი VII

ჯილდოდ მიღებული იარაღი

მუხლი 35. ჯილდოდ მიღებული იარაღი

ჯილდოდ მიღებულია იარაღი, რომელიც წახალისების წესით გადაეცემა პირს განსაკუთრებული საბრძოლო, სამსახურებრივი და სპორტული დამსახურებისათვის. აკრძალულია ავტომატური იარაღის ჯილდოდ გადაცემა.

იარაღით პირის დაჯილდოების უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, თავდაცვის მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრს, სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის უფროსს და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს (სპორტული იარაღით).

იარაღით დაჯილდოების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და ამტკიცებს სახელმწიფოს მეთაური.

მუხლი 36. ჯილდოდ მიღებული იარაღის შენახვა, ტარება და გამოყენება

ჯილდოდ მიღებული იარაღის რეგისტრაცია ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ხოლო შენახვა, ტარება და გამოყენება — ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

თავი VIII

საკოლექციო იარაღი

მუხლი 37. საკოლექციო იარაღის ცნება

საკოლექციოა იარაღი, რომელიც საექსპერტო კომისიის დასკვნით წარმოადგენს სამეცნიერო, ისტორიულ, მხატვრულ ღირებულებას და რომლის შენახვის უფლება აქვთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომლის დანიშნულებაა კოლექციის ფორმირება და ექსპონირება.

საკოლექციო იარაღი ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო რეგისტრაციას.

საკოლექციო იარაღის საექსპერტო შეფასებისა და მისი რეგისტრაციის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 38. საკოლექციო იარაღის დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გამოყენება

საკოლექციო იარაღის დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გამოყენება ხდება ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

მუხლი 39. საკოლექციო იარაღთან დაკავშირებული გარიგებანი

საკოლექციო იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს გაასხვისოს იარაღი იმ პირზე, რომელსაც აქვს საკოლექციო იარაღის შენახვის უფლება იმ წესითა და პირობებით, რომლებსაც ადგენენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო და კულტურის სამინისტრო.

თავი IX

იარაღის სახელმწიფო კადასტრი

მუხლი 40. იარაღის სახელმწიფო კადასტრი

იარაღის სახელმწიფო კადასტრის მიზანია იარაღის სახეობათა სისტემატიზებული ნუსხის შედგენა, იარაღის ძირითადი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემების მითითება და მისი სახელმწიფო სტანდარტების დადგენა.

სახელმწიფო კადასტრის დანიშნულებაა იარაღის კონკრეტული ნიმუშების იარაღის სახეობისადმი მიკუთვნება იარაღის დამზადების, გაყიდვის, მესაკუთრეობისა და სარგებლობის წესებისადმი კონტროლის მიზნით.

მუხლი 41. საქართველოს რესპუბლიკის იარაღის სახელმწიფო კადასტრის შინაარსი და შედგენის წესი

იარაღის სახელმწიფო კადასტრი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი მოიცავს სამხედრო-საბრძოლო იარაღის ნიმუშებს, რომელთა შესახებ ცნობები სახელმწიფო ან სამსახურებრივი საიდუმლოებაა. ასეთი იარაღის საიდუმლოების ხარისხს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მეორე ნაწილი მოიცავს იმ იარაღის ნიმუშებს, რომელთა შესახებ ცნობები გასაიდუმლოებული არ არის.

იარაღის სახელმწიფო კადასტრის შედგენის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თავი X

იარაღის გამო დავის გადაწყვეტა და იარაღის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა

მუხლი 42. იარაღის გამო დავის გადაწყვეტა

იარაღის მესაკუთრეობისა და სარგებლობის, იარაღის ტარების ნებართვის მიცემაზე უარის ან იარაღის ჩამორთმევის გამო დავა გადაწყდება სასამართლო წესით, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 43. პასუხისმგებლობა იარაღის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების დარღვევით დადებული გარიგებანი იარაღის გასხვისების შესახებ ბათილია.

პირებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით იარაღის, მისი ძირითადი ნაწილებისა და საბრძოლო მასალების დამზადების, აღდგენის, აწყობის და შეკეთების, გაყიდვის, შეძენის, გადაზიდვის, გადაგზავნის, ტარებისა და გამოყენების წესების დარღვევაში, ეკისრებათ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 44. საქართველოს რესპუბლიკაში იარაღის შემოტანა, გატანა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტი

საქართველოს რესპუბლიკაში იარაღის შემოტანის, გატანის და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტის წესებს ადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებანი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.
საქართველოს პარლამენტის მდივანი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1994 წლის 15 მარტი.

სათქმელი უნდა ითქვას

ხელისუფლება და პასუხისმგებლობა

პარლამენტის 22 მარტის სხდომაზე ოპოზიციის განცხადებაში არაერთგზის დაისვა საკითხი ხელისუფლებისა და პასუხისმგებლობის შესახებ. პარლამენტის წევრმა რომან მიმინოშვილმა თავისი საპასუხო წერილი მოგვაწოდა, რომელიც 24 მარტის სხდომაზე მისი გამოსვლის საგაზეთო ვარიანტია.

ზოგიერთს დასჭირდა პარლამენტის ტრიბუნა გამოიყენოს პოლიტიკური განცხადების გასაკეთებლად იმის თაობაზე, თუ რა [illegible] რამ თქვა შარშანწინ, როგორ არ დაუჯერეს, და ვილაცებმა, რა თქმა უნდა, არა მან, როგორ დალუპეს საქართველო. ბატონებმა ივლიანე ხაინდრავამ, [illegible] პაატაშვილმა და ზოგმა სხვა პარლამენტარმა მხოლოდ დააფიქსირეს, თუ რამდენად ფხიზლები არიან და ყველაფერს ამჩნევენ, თუ არ ვცდები, კონფუციუს ან უფრო არავიძის სხარტულაც გამოიყენეს ბნელი ოთახისა და შავი კატის შესახებ.

მთელი პასუხისმგებლობა იმ უბედურებისათვის, რაც ქვეყანას სჭირს, სახელმწიფოს მეთაურს და საპარლამენტო უმრავლესობას დააკისრეს. ბატონმა ივლიანე ხაინდრავამ ისიც კი იკადრა, რომ ბრძანა: სახელმწიფოს მეთაურმა, როგორც მთავარსარდალმა არ შეიძლება შეითავსოს თავდაცვის მინისტრის პოსტი, რადგან როგორი მთავარსარდალიც იყო, აფხაზეთის ომში გამოჩნდაო. მე ვიხმარე სიტყვა „იკადრა". მას ძველ ქართულში სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ნიშნავდა „გაბედვას". დიახ, რაღაც არ მახსოვს, მას, ან ვინმე სხვას გაებედა ასეთი რამ, როცა მინისტრი ბატონი თენგიზ კიტოვანი ან ბატონი გია ყარყარაშვილი იყო! სახელმწიფოს მეთაურის შეურაცხყოფის ან ცილისწამების გამო კი არ მაგონდება, ვინმესთვის პასუხი მოეთხოვოთ.

რაკი პატივცემულ ოპოზიციონერებს სხარტულების გახსენება ეხერხებათ, იქნებ ისიც გაახსენდეთ, ვინ თქვა, ქვეყანას თუ გამარჯვება არ უნდა, თვით ალექსანდრე მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებსო.

ქართველმა მწერალმა თქვა, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ჩვენი გულარხეინობის, დაქსაქსულობის, ერთმანეთის გაუტანლობის, ჩვენს შორის უკეთესის დაკარგვის ამბავი. თქვენი და ჩვენი ამბავი!

ვერ წარმომიდგენია, რომ ქართველ კაცს გახარებოდა ბუტროს-გალის ბოლო მოხსენების დასკვნა. ამიტომ არ ვურჩევდი მათ პოლიტიკური მოწინააღმდეგის, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის წარუმატებლობათა ჩამონათვალში ამ პუნქტის შეტანას, რადგან არ მინდა, რომ მათზე ვინმემ იფიქროს, ამ უბედურებს მაინც რა უხარიათო.

ბატონმა ნოდარ ნათაძემ ორი სიტყვით შეაჯამა ოპოზიციის პრეტენზიები 22 მარტის ორწუთიან ტელეინტერვიუში: ბოლო ორი წელიწადი ყველაზე მძიმე იყო საქართველოს ისტორიაში და ქვეყნის ხელისუფლება საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ იღვწისო.

საპარლამენტო ფრაქცია „თანხმობის" დავალებით სესიაზე შემდეგი განვაცხადე:

საპარლამენტო ფრაქცია „თანხმობა", მისი სახელწოდებიდან და პლატფორმიდან გამომდინარე, ყოველთვის ესწრაფოდა ყველა ფრაქციასთან თუ პოლიტიკურ ჯგუფთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას. მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ოპოზიციურ ჯგუფთან პოლიტიკური დიალოგი თითქმის შეუძლებელი ხდება. ჩვენ ბოლომდე თავს ვიკავებდით, მოთმინებით ვისმენდით სამართლიან თუ უსამართლო პრეტენზიებს და არც ერთხელ კონტრშეტევაზე არ გადავსულვართ. ახლა პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ის ოპოზიცია, რომელიც დაურიდებლად, ზვიადისტურად გვიწოდებს მოღალატეებს, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გამყიდველებს, ვეღარ ჩაითვლება ოპოზიციად. ეს მტრობაა!

ჩვენ შეგვიძლია კითხვა შევუბრუნოთ „მრგვალი მაგიდის" ყოფილ პარტნიორებს: თუ ასე მძიმეა ქვეყნისთვის ბოლო ორი წელიწადი, ვინ მიიყვანა ქვეყანა ასეთ კატასტროფამდე, ვინ მოაწყო სამტრედიის ყბადაღებული ბლოკადა, რითაც სათავე დაუდო ქვეყნის ეკონომიკურ იზოლაციას, ვინ მოაწყო დასაშინებელი 30-ათასიანი მიტინგი ცხინვალში და სამარცხვინოდ გამოიძურწა უკან, ვინ შეუწყო ხელი აფხაზეთის აპარტეიდულ საარჩევნო კანონს და არძინბას მოსვლას ხელისუფლების სათავეში, ვინ შეაიარაღა ქობალია? დაგვისახელეთ საპარლამენტო უმრავლესობაში ასეთი საქმეების თუნდაც ერთი ხელისშემწყობი. არ შეგიძლიათ, რადგან ასეთი არავინ არის. ჩვენც არ შეგვიძლია ზოგიერთი თქვენგანის დასახელება, მაგრამ უკვე სხვა მიზეზით: ჩვენ პატივს ვცემთ უდანაშაულობის პრეზუმპციას.

ვინ შეუწყო ხელი ანტიიმპერიული მისწრაფებების ანტირუსულ ისტერიაში გადაზრდას, რატომ ემთხვეოდა ესოდენ ხშირად არძინბას, დუდაევის, გამსახურდიას, ხაზბულატოვის, ჟირინოვსკისა და ძმათა მათთა ინტერესები ზოგიერთი ჩვენი ოპოზიციონერის ინტერესებს, რომ როგორმე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ჰქონოდა კონფრონტაციული ხასიათი, რამაც აფხაზეთი დაგვაკარგვინა?

რატომ იყო ასე ხშირი სწორედ ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო გადატრიალების ცდები? საპარლამენტო უმრავლესობის რომელი წევრი შეხვდა ზუგდიდში და მიესიყვარულა ექსპრეზიდენტს? დაგვისახელეთ საპარლამენტო უმრავლესობიდან ვინმე, ვინც ასე ხშირად და გულმოდგინედ ცდილობდა ქობალიასთან „საერთო ენის" გამონახვას. იქნებ ბატონი ჟიული შარტავა გყავთ მხედველობაში? ყველას გვახსოვს ტრაგიკული ეპიზოდი, როცა იგი ტელეფონით ეხვეწებოდა ვიღაც გარეწარს, რა დროს პრეტენზიებია, მოგვეშველეთ, სოხუმი იღუპებაო. თურმე შეიძლება ყოფილი კომუნისტი ეროვნული გმირი იყოს და ყოფილი დისიდენტი კი ქვეყნის მოღალატე! საინტერესოა, რას აკეთებდნენ სამშობლოსთვის უმძიმესი განსაცდელის ჟამს ჩვენი ოპოზიციონერები, გვერდში ედგნენ მთავარსარდალს, თუ ელოდებოდნენ, როდის დამარცხდებოდა იგი? მეტად საეჭვო რამ არის, ბატონებო, ახლა ნიშნის მოგება.

ყველას გვახსოვს, როცა ქობალია ქუთაისს მოადგა, ხოლო მანამდე საიმედოდ გადაკეტა ჩვენი მთავარი არტერიები — ფოთი და სამტრედია, რუსების საზღვაო დესანტის გამოჩენას როგორი აღშფოთებით შეხვდა ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსი, ლამის ქვეყნის ოკუპაციად ჩათვალა ეს ნაბიჯი. ასევე შეხვდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანებასაც. ამას კუდის ყავარზე გადება ჰქვია, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ გარკვეული პოლიტიკური წრეები, არ ვგულისხმობ საპარლამენტო ოპოზიციას, — უკვე ემზადებოდნენ რესტავრირებულ, რევანშისტულ ხელისუფლებასთან შესახვედრად. ხოლო საპარლამენტო ოპოზიციამ, რომელმაც მწარე გამოცდილებით იცოდა, რომ კვლავ ოპოზიციაში ყოფნა მოუწევდა ახალ ხელისუფლებასთან, ანუ მუდმივი ოპოზიციის სტატუსი გარანტირებული ჰქონდა, ერთი ნაბიჯიც არ გადადგა საფრთხეში მყოფი ხელისუფლების განსამტკიცებლად.

ჩვენმა ოპონენტებმა შეიძლება გვიწყინონ, მაგრამ უნდა იცოდნენ, რა კუთხით ვხედავთ ჩვენ მათ, ყოველ შემთხვევაში, ბევრ მათგანს. ეს, ალბათ, ცხოვრებამ მოიტანა, რომ ჩამოყალიბდა გარკვეული პოლიტიკური ტიპი მუდმივი ოპოზიციონერისა, რომელსაც არ შესწევს უნარი ხალხის ფართო მასების მხარდაჭერა მოიპოვოს და ხელისუფლებისათვის იბრძოლოს, მაგრამ შეუძლია ებრძოლოს არსებულ ხელისუფლებას — კომუნისტურსაც, პროვინციულ-ფაშისტურსაც, პოსტკომუნისტურსაც, დემოკრატიულსაც, თუ გნებავთ, — მონარქისტულსაც. იგი ვერ იკისრებს ქვეყნის ბედისათვის პასუხისმგებლობას, მას შეუძლია იგი მხოლოდ სხვას დააკისროს და მიწყივ პასუხიც მოსთხოვოს. შემთხვევითი არ იყო ამ მხრივ განცხადება, ჩვენ, ათკაციან ფრაქციას, აბა, მეტი რა შეგვეძლო, თუ არა საგანგაშო ზარის დარისხებაო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის 22 მარტის აქცია პარლამენტის სხდომაზე მიზნად ისახავდა ხელისუფლების კრიზისის გამოწვევას, რაც უნდა მოჰყოლოდა სახელმწიფოს მეთაურის პოსტის გაუქმებას, თითქოსდა მინისტრთა კაბინეტის ძირეულ რეორგანიზაციას და ა. შ. ყველა ვითარებაში ოპოზიცია რჩებოდა მოგებული: თუ ეს წინადადებები გავიდოდა, სახელმწიფო წყობა დაიშლებოდა და ოპოზიცია შეიძლება უკეთეს პოზიციაში აღმოჩენილიყო, და თუ არა, დაფიქსირდებოდა, რომ რაკი ქვეყნად არაფერი იცვლება და ცხოვრება ჯერ არ უმჯობესდება, ყველაფერი სახელმწიფოს მეთაურისა და საპარლამენტო უმრავლესობის ბრალია. ამით ოპოზიცია, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ხელს უშლიდა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, პარლამენტის ნორმალურ მუშაობას, თავიდან იხსნიდა საკუთარ პასუხისმგებლობას.

ჩვენ ასე ვხედავთ პოლიტიკურ ბრძოლას პარლამენტში და ფრაქცია „თანხმობა" მზად არის უმრავლესობასთან ერთად იკისროს მთელი პასუხისმგებლობა, პირდაპირ ვიტყვი, — ამ მძიმე ბრძოლაში მხარში ამოუდგეს სახელმწიფოს მეთაურს და მთელ ხალხთან ერთად მოიხადოს საყმაწვილო სახადი, ჩვენს ახალ სახელმწიფოს რომ შეჰყრია: „მოუოხეთ, ბატონებო!".

რომან მიმინოშვილი.

გადავაქციოთ საქართველო ტრანსატლანტიკური უშიშროების დასაყრდენად

პირველი გვერდიდან

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიკვაიძის სიტყვა

ბატონო გენერალურო მდივანო, ქალბატონებო და ბატონებო,

საქართველოს რესპუბლიკის მიერ „მშვიდობისათვის თანამშრომლობის" დოკუმენტის ხელმოწერას ჩვენ განვიხილავთ, როგორც ევროპული და ტრანს-ატლანტიკური ინტეგრაციის რთული, მაგრამ ამავე დროს დინამიკური პროცესის შემადგენელ ნაწილს. არ შეიძლება კმაყოფილებით არ აღვნიშნოთ, რომ ნატოს იანვრის სამმიტმა სწორი გასაღები შეურჩია ამ პროცესის მოთხოვნებს და შეიმუშავა თანამშრომლობის ისეთი ორიენტირები, რომლებიც კომპრომისულად ითვალისწინებენ სხვადასხვა ინტერესებს.

საქართველო, რომელიც ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზეა, კავკასიის ურთულეს რეგიონში, მეტად დაინტერესებულია, რომ მის მეზობელ სახელმწიფოთა ჩართვა ამ ინტეგრაციის პროცესში მოხდეს ევოლუციური გზით, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე.

სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული ურთულესი შიდაპოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საქართველომ შეძლო თავი დაეღწია საერთაშორისო იზოლაციისაგან და დაემყარებინა კონსტრუქციული და დაბალანსებული ურთიერთობა ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან, ასევე ნატოს წევრ ქვეყნებთან. უმძიმესმა ეკონომიკურმა ვითარებამ და დამოუკიდებლობის დიდმა საფასურმა ქართველ ხალხს არ დაუკარგა თავისი დემოკრატიული არჩევნის სისწორის რწმენა. ყოველივე ეს იმედს გვაძლევს, რომ საქართველო ღირსეული პარტნიორი იქნება ნატოს წევრ-სახელმწიფოებისა და ყველა იმ ქვეყნისა, რომელსაც გააერთიანებს „მშვიდობისათვის თანამშრომლობის" პროგრამა.

ამ ეტაპზე საქართველოს უშიშროების პრიორიტეტია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნება, რომელსაც საფრთხეს უქმნის აგრესიული სეპარატიზმი. ჩვენ ვერ დავუშვებთ ქვეყნის დაქუცმაცებას, რაც გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას არა მარტო კავკასიაში, არამედ მთლიანად ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

ამ თვალსაზრისით, დიდ იმედებს ვამყარებთ ინიციატივაზე, რომელიც ითვალისწინებს გაეროს სამშვიდობო ძალების გაგზავნას საქართველოში, აფხაზეთის რეგიონში, კონკრეტული მანდატით — ხელი შეუწყოს ათასობით ლტოლვილთა დაბრუნებას თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე. ჩვენი მხრიდან ყველა ზომას ვიღებთ მიღწეული იქნეს პოლიტიკური შეთანხმება ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის.

ჩვენს ინტერესს იწვევს „მშვიდობისათვის თანამშრომლობის" პროგრამის ფარგლებში კონსულტაციების მექანიზმის შექმნა იმ შემთხვევისათვის, თუკი პროგრამის მონაწილე სახელმწიფო ჩათვლის, რომ მის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს საფრთხე ემუქრება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ ვიზიარებთ ჩვენს პასუხისმგებლობას ხელი შევუწყოთ კავკასიის კონფლიქტური რეგიონების სტაბილიზაციისა და დემოკრატიული პროცესების გაღრმავებას. ვუერთდებით რა „მშვიდობისათვის თანამშრომლობის" პროგრამას, ვაცხადებთ, რომ ჩვენს მთავარ მოვალეობად ვთვლით **საქართველო გადავაქციოთ მომავალი ტრანსატლანტიკური უშიშროების პატარა, მაგრამ ძლიერ დასაყრდენად.**

ჩვენი თანამშრომლობის ინდივიდუალური პროგრამების შედგენისას ჩვენი სურვილია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საქართველოს თანამედროვე შეიარაღებული ძალების შექმნის ხელშეწყობასა და მათი დემოკრატიული მართვის მექანიზმის სრულყოფას. ამ მიმართულებით მხარდაჭერას ველით რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, რომლებთანაც ბოლო თვეების მანძილზე მიღწეული იქნა ორმხრივი შეთანხმებები. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ფასდაუდებელი გამოცდილება იქნება წლევანდელიდან ერთობლივ სამხედრო წვრთნაში მონაწილეობა. იმედი გვაქვს, რომ უფრო მიზანდასახული ხასიათი მიეცემა თანამშრომლობას მშვიდობის დაცვის საქმეში, რომლის მიზანსაც შეადგენს არა მარტო ექსპერტიზა, არამედ კონკრეტული ინფრასტრუქტურის შექმნაც.

ყველა ჩვენი მისწრაფება დემოკრატიისა და თავისუფლებისაკენ განწირული იქნება, თუკი ვერ მოხერხდა უმძიმესი ეკონომიკური ვითარების გადალახვა. დღეს საქართველო განიცდის მწვავე ენერგეტიკულ კრიზისს. ქვეყანაში 300 ათასამდე ლტოლვილია. ამიტომ „მშვიდობისათვის თანამშრომლობის" პროგრამა ჩვენთვის ასევე ნიშნავს ხელსაყრელი პირობების შექმნას ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და პროგრესისათვის.

ჩვენი მიზანია გავეცნოთ და უკეთ გამოვიყენოთ ნატოს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოტენციალი. ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვეტას ითხოვენ შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა ერთობლივი პრობლემები, სამხედრო კონვერსიისა და ეკოლოგიის საკითხები.

იმის ერთ-ერთ მაგალითად, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს ხელისუფლება „მშვიდობისათვის თანამშრომლობის" პროგრამაში მონაწილეობას, მინდა მოგახსენოთ, რომ სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ე. შევარდნაძის განკარგულებით იქმნება მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალება ამ პარტნიორული ურთიერთობის კოორდინირება. ამ კომისიის წევრები — საგარეო და თავდაცვის სამინისტროების, მთავარი შტაბის, ასევე სხვადასხვა უწყებებისა და სამეცნიერო უწყებების წარმომადგენლები, ალბათ, ნატოს საინფორმაციო ჯგუფს ხვალ თბილისში შეხვდებიან.

ბატონო გენერალურო მდივანო, ბატონებო და ქალბატონებო,

ვაწერთ რა ხელს „მშვიდობისათვის თანამშრომლობის" პროგრამას, რწმენას გამოვთქვამთ, რომ ეს ნაბიჯი აღქმული იქნება არა მხოლოდ როგორც მოწოდება დახმარებისათვის, არამედ როგორც ჩვენი მზადყოფნა თქვენთან ერთად გავიზიაროთ თავისუფლებისა და დემოკრატიის ერთობლივი ფასეულობები.

გარწმუნებთ, რომ საქართველო არ დაიშურებს ძალას ამ დიდი მიზნის მისაღწევად.

დისკუსია: როგორ ვუშველოთ საქართველოს?

ვხედავ, რომ ვერ ვხედავთ!

საქართველოს ეკონომიკა ღრმა კრიზისს განიცდის და ამ სავალალო მდგომარეობიდან გამოსაყვანად გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მისალმების ღირსია. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ იმ პუბლიკაციების ავტორები, რომლებსაც შესწევთ ძალა, ადრე თუ გვიან ხელისუფლებაში მოვიდნენ და ქვეყნის მომავალზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინონ.

ერთ-ერთ ასეთ პუბლიკაციად მესახება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (3 მარტი, 1994 წ.) გამოქვეყნებული ბატონ გიორგი ჭანტურიას ორიგინალურად დასათაურებული სტატია: „Argumentum ab Rem". ეპიგრაფიც საინტერესოდ ჟღერს: „მე ასე ვხედავ". ცხადია, თუ ავტორი ღრმად იხედება მოვლენებში და იცის რომელი ფაქტორი რა ზომით აპირობებს მიმდინარე პროცესებს, მაშინ მას ყოველნაირად მხარი უნდა დავუჭიროთ, მაგრამ თუ ეს ასე არ არის, მაშინ რეაქციაც საწინააღმდეგო უნდა იყოს.

მინდა სწორად გამიგონ. ახლა ქვეყანას სჭირდება ისეთი ხელმძღვანელობა, რომელიც უზრუნველყოფს დროის გარკვეულ მონაკვეთში მინიმალური დანაკარგებით ეკონომიკის აღორძინებას. ამ პუბლიკაციის მიზანიც ის არის, რომ შეძლებისდაგვარად ობიექტურად შეფასდეს ბატონ გიორგი ჭანტურიას სტატია და საზოგადოებას დავეხმაროთ გაერკვეს მისი წინადადებების სარგებლიანობაში. ძირითადად სტატიის მხოლოდ იმ საკითხებს შევეხები, რომლებშიც რესპუბლიკის ეკონომიკის მდგომარეობაა ასახული და განვითარების გზებია ნაჩვენები.

სტატია იწყება სახელმწიფოს მშენებლობის საკითხით. ჩვენთან სახელმწიფოს მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა და ამიტომ პირველ რიგში ამის გაკეთებაა საჭირო. მართლა ასეა? ჩვენ მხოლოდ სახელმწიფოს, როგორც ცნებას, განვმარტავთ და მკითხველმა თავად შეაფასოს აღნიშნული მიზნის მართებულობა.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო გახლავთ საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ძირითადი ინსტიტუტი და იმით ხასიათდება, რომ მას აქვს სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოებისა და დაწესებულებების სისტემა (პარლამენტი, მინისტრთა კაბინეტი, სამინისტროები, კომიტეტები, დეპარტამენტები და სხვა); სამართალი, რომელშიც დადგენილია ნორმების განმსაზღვრელი სისტემა და სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ; ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება მოცემული სახელმწიფოს იურისდიქცია.

ალბათ უფრო სწორი იქნებოდა ავტორის საუბარი იმ ნაკლოვანებებზე, რომლებითაც ხასიათდება ამჟამინდელი სახელმწიფოს მშენებლობა და მათი გამოსწორების გზები ეჩვენებინა.

სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი, ალბათ, ეკონომიკისათვის ისეთი გარემოს ჩამოყალიბება გახლავთ, რომლის დროსაც სახალხო მეურნეობა ადაპტურ სისტემად გადაიქცევა და შეძლებს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება, მუშახელის მაქსიმალური დასაქმება, მცირეშემოსავლიანი ფენების სოციალურ-ეკონომიკური დაცულობა და სხვა.

სამწუხაროდ, აქაც მიზანი არასწორად არის დასმული. საქმე ის არის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უკვე აბსურდად უნდა ჩაითვალოს. შეიძლება იკითხოს მკითხველმა — რატომ? განა შეიძლება ფეოდალიზმიდან ფეოდალიზმში გადასვლა, სოციალიზმიდან სოციალიზმში, საბაზროდან საბაზროზე? ეს ხომ ნონსენსია. ავტორი აქაც მეტი ყურადღებით უნდა მოკიდებოდა ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს.

ამასთან დაკავშირებით უნდა განვმარტო: საბაზრო ეკონომიკაზე ჩვენ სწრაფად გადავედით, თანაც მაშინ, როცა ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება ფასების ლიბერალიზაციის შესახებ. ეს უკანასკნელი იმას ნიშნავდა, რომ ფასები და ტარიფები საქონელზე, მომსახურებაზე, სამუშაო ძალაზე წესდება გამყიდველისა და მყიდველის შეთანხმებით, მიწოდება-მოთხოვნის თანაფარდობის შესაბამისად. ეს კი უკვე საბაზრო ეკონომიკაა, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო სამართლებრივი ბაზის, ზოგიერთი სხვა აუცილებელი ატრიბუტისა და კონკურენტული გარემოს უქონლობის პირობებში.

ასე რომ, როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკა გვაქვს, მაგრამ არაცივილიზებული სახით და ამიტომ ჩვენთან ცხოვრების დონე მეტად დაბალია.

აქვე გვინდა შევეხოთ ერთ მეტად მწვავე და ყველასათვის მტკივნეულ პრობლემას, რომელსაც ავტორი პროვოკაციულად „შემოგდებულს" უწოდებს. ეს არის „სამანეთო სივრცეში" საქართველოს შესვლის თემა. არის თუ არა ეს პრობლემა შემთხვევითი და არის თუ არა ნამდვილად პროვოკაციული?

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ეკონომიკა ერთიან სახალხო მეურნეობრივ კომპლექსს წარმოადგენდა, რომელშიც ინტეგრირებული იყო 15 რესპუბლიკის და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკაც კი. სოციალისტური ბანაკი დაიშალა, ხოლო სსრკ, როგორც ქვეყანა, აღარ არსებობს. ახლად წარმოდგენილ ქვეყნებს დარჩათ ერთიანი კომპლექსი და ერთმანეთს შორის მოუწესრიგებელი ურთიერთობები. ამან გამოიწვია ორგანული ეკონომიკური კავშირების მოშლა, ყველა მათგანში დაიწყო რეცესია და მძაფრი ინფლაციური მოვლენები. ყველაზე მეტად გაუჭირდათ იმ ქვეყნებს, რომლებსაც ავტონომიური არსებობის უნარი ნაკლებად აქვთ. ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი რესპუბლიკაც. საქართველო ყველაზე მეტად ინტეგრირებული იყო რუსეთის ეკონომიკასთან და ეს ადვილი ასახსნელია — სამხრეთში განლაგებული ქვეყანა აწარმოებს იმას, რაც ნაკლებად იწარმოება ჩრდილოეთში — განსაკუთრებით ჩაი, სუბტროპიკული კულტურები, ყურძენი, აბრეშუმი და სხვა.

ქვეყანა, რომლის ეკონომიკა დაქვეითებულია და სტაგფლაციას განიცდის, დიდ დახმარებას საჭიროებს, საწარმოო პოტენციალის ნაწილობრივი აღდგენისათვის მაინც, მას სჭირდება ნავთობპროდუქტები, სხვადასხვა ნედლეული, ხორბალი, შაქარი, რძე და რძის ნაწარმი და სხვა. ახალ ურთიერთობებზე დაყრდნობით, კერძოდ კი სამანეთო ზონაში შესვლით, ნაწილობრივ მაინც მოხდება საწარმოო პოტენციალის რეანიმაცია, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის სავალალო მდგომარეობა.

გავიხსენოთ, რომ ჩვილ ბავშვს უდედოდ ცხოვრება არ შეუძლია. ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება მისი დამოუკიდებლობა და თავისუფალი ხდება, ხოლო მისი, ჭეშმარიტად თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბება, შესაძლებელია მხოლოდ კულტურისა და მატერიალური წარმოების გარკვეული დონის პირობებში. ზოგიერთისათვის თავისუფლება ამჟამად უკვე მოპოვებულია, ხოლო მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის თავისუფლების ხარისხი აშკარად შემცირდა, რაც პირველ რიგში მისმა ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაქვეითებამ განაპირობა.

ამიტომ კომპეტენტურმა ორგანოებმა სათანადო ანალიზისა და შეფასებების საფუძველზე უნდა წარმოადგინონ დასკვნა სამანეთო ზონაში შესვლის საჭიროების თაობაზე.

ჩვენი გაანგარიშებით, 1993 წელს საქართველოში წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა (მან შეადგინა დაახლოებით 15-17 პროცენტი 1986 წელთან შედარებით). თუ ჩვენი ეკონომიკური სტრატეგია ორიენტირებული იქნება სხვა ქვეყნებზე და არა რუსეთზე, მაშინ იმისთვის, რომ 1986 წლის წარმოების დონეს მივაღწიოთ, 5 პროცენტის ყოველწლიური ზრდის ტემპის პირობებში დაახლოებით 40 წელიწადი დაგვჭირდება, რაც სახარბიელო შედეგი არ უნდა იყოს.

იმისთვის, რომ სტაგფლაციის მდგომარეობიდან გამოვიდეთ, საჭიროა ეკონომიკური მიზნის (მიზნების) ჩამოყალიბება, მაგრამ ცხადია ის (ისინი) იერარქიული წესით უნდა აიგოს: კერძოდ, მიზანი, რომლის მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ მისკენ უნდა ვისწრაფოდეთ; მიზანი, რომლის მიღწევა დროის მოცემულ მომენტში შეუძლებელია, მაგრამ შეგვიძლია მნიშვნელოვნად მივუახლოვდეთ მას; და მიზანი, რომლის მიღწევაც დროის მოცემულ მომენტში შესაძლებელია.

დასასრულ, კიდევ ერთი მიზნის შესახებ, რომელიც ეკონომიკურ სტაბილიზაციასა და კუპონის განმტკიცებას ეხება. განვიხილოთ თავად ტერმინი ეკონომიკური სტაბილიზაცია. სტაბილიზაცია ხომ განმტკიცებას, რაღაცის მდგრად მდგომარეობაში მოყვანას ნიშნავს. ეკონომიკის სტაბილიზაციაში უნდა ვგულისხმობთ ეკონომიკური დაცემის, დაქვეითების, მამასადამე რეცესიის შეჩერება. ამიტომ, სანამ ასეთ მიზანს დავისახავთ, გამოკვლეული უნდა გვქონდეს, გრძელდება თუ არა რეცესია და მხოლოდ ამის შემდეგ ვიზრუნოთ მის შეჩერებაზე. აღნიშნული პროცესის შესასწავლად ობიექტური ინფორმაციის უქონლობის პირობებში გამოვიყენეთ რკინიგზის ტრანსპორტზე ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვის მოცულობათა დინამიკა თვეების მიხედვით, რადგან აქ მნიშვნელოვნად მოწესრიგებულია აღრიცხვა. რკინიგზის ტრანსპორტით გადაზიდვების მოცულობა კი მჭიდრო კორელაციურ კავშირშია წარმოების მოცულობასთან, კერძოდ ისეთ მიკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან, როგორიცაა შიგა ერთობლივი პროდუქტი, ერთობლივი ეროვნული შემოსავალი და სხვა.

როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, ვარდნის პროცესი ფაქტობრივად დასრულდა და სრულებითაც არ გვაძლევს ხელს იქ შეჩერება, ამიტომ უნდა ვიზრუნოთ წარმოების გამოცოცხლებისთვის, მისი აღორძინებისა და ფაქტობრივად წარმოების სტრუქტურის ახალ პირობებთან შეგუებისთვის.

მოსაზრება, რომელსაც ვიხილავთ, კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანი უზუსტობით ხასიათდება. სტატიის პრეამბულა მიზნების დასმით იწყება და უკვე ეკონომიკური ქვეთავის განხილვის ბოლოს იქვე მიზნების ფორმულირებას და მათი გზების გადაწყვეტის მცდელობას ვხვდებით. აქ უკვე მიზნები ცხადად არის წარმოდგენილი და გულისხმობს ეკონომიკური ზრდის სიმტკიცეს, სტაბილური ფულადი სისტემის, დასაქმების საკითხების მოგვარებას და საგარეო-ეკონომიკურ სფეროში წონასწორობის მიღწევას.

ამ მიზნების განსახორციელებლად ბატონ გიორგი ჭანტურიას მიაჩნია, რომ ხელისუფლებაში რეფორმატორების მთავრობა უნდა მოვიდეს, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების რეკომენდაციებით განახორციელებს რეფორმებს.

არ შეიძლება ავტორს აღნიშნულ მოსაზრებაში არ დაეთანხმო, მაგრამ იმ პირობით, რომ რეფორმატორებს რეალურად ეცოდინებათ როგორ განახორციელონ რეკომენდაციები. მაგალითად, განა არ ვიცით, რომ ფასების ზრდის შეჩერებისთვის უნდა შემცირდეს სახელმწიფო ხარჯები, მოსახლეობამ თავისი შემოსავლის ნაკლები წილი მოიხმაროს, შეიზღუდოს არსებული ფულადი საშუალებები, ნაკლებად გაიზარდოს სარგო, გაუმჯობესდეს წარმოებისა და განაწილების წრებრუნვა და სხვა. ან კიდევ, იმისთვის, რომ კუპონის კურსი განმტკიცდეს, რა ღონისძიებებია საჭირო. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა კონკრეტულად მიმდინარე პროცესებში გარკვევა და იმ ფაქტორების ზეგავლენის სიდიდეების დადგენა, რომლებიც ეკონომიკურ პროცესებს განაპირობებს. ეს პუბლიკაციაში ნაკლებად ჩანს.

არაფრისმთქმელად გვეჩვენება ისეთი ღონისძიებების ჩამოთვლა, როგორიც არის „მართვის არსებული სტრუქტურების გარდაქმნა და რაციონალიზაცია" ან „ინფლაციური პროცესების შესაჩერებლად, კაპიტალის გატანის შესაწყვეტად და მისი ფორმაციისათვის, სტაბილური ფულადი სისტემის უზრუნველსაყოფად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება". პირველში გაუგებარია რისთვის არის საჭირო არსებული სტრუქტურის გარდაქმნა, რაში მდგომარეობს და როგორ უნდა განხორციელდეს აღნიშნული რაციონალიზაცია, ხოლო მეორეში დასაზუსტებელია იმ მექანიზმის არსი, რომლითაც ხერხდება ინფლაციური პროცესების შეჩერება.

ვფიქრობ, დასაზუსტებელია, მაგალითად, რისი მთქმელია კერძო მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის სახელმწიფო ზრუნვის პოლიტიკის განხორციელება. ვფიქრობ, აქაც ამ ღონისძიების განხორციელების მექანიზმის იდეა მაინც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

ამასთან, სტატიაში ვხვდებით რიგ უზუსტო გამოთქმებსა და ტერმინებს. ავიღოთ, მაგალითად, „ობიექტური პრობლემები". პრობლემა ეს არის რთული თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც მოითხოვს შესწავლას, გადაწყვეტას. ამიტომ გამოთქმა „ობიექტური პრობლემა" არასწორია. არ შეიძლება არც პრობლემის მოგვარება, პრობლემა უნდა გადაწყდეს ან შეიქმნას ისეთი თეორია, რომელიც მას გადაწყვეტს და არა მოაგვარებს.

უსარგებლოა ისეთი გამოთქმების გამოყენება, რომლებსაც მკითხველისათვის ფაქტობრივად არავითარი ინფორმაცია არ მოაქვს. კერძოდ, „არის სპეციფიკური საკითხები, რომლებიც ასევე სპეციფიკურ მიდგომას და გადაწყვეტას საჭიროებს". საინტერესო იქნებოდა ავტორს ერთი სპეციფიკური საკითხი მაინც განეხილა და ერთი სპეციფიკური მიდგომა და გადაწყვეტა მაინც მოეყვანა (გვსმენია სისტემური და კომპლექსური მიდგომები, ინდუქციისა და დედუქციის მიდგომები, ხოლო სპეციფიკური მიდგომა ნამდვილად არ გვსმენია).

არ შეიძლება ავტორს დავეთანხმოთ, რომ ჩვენთან ინფლაციური პროცესი უმართავია. ინფლაცია მაშინ ითვლება უმართავად, თუ ის არაპროგნოზირებადია, მაგრამ თუ ცნობილია მისი გამომწვევი ფაქტორები, ამ ფაქტორების ზემოქმედების დონე, მაშინ ის მართვადია და ამას ჩვენი გამოკვლევებიც ადასტურებს.

ვფიქრობ, ეს მოკრძალებული შენიშვნები და სურვილები ბატონ გიორგი ჭანტურიას თავის სამომავლო საქმიანობაში წაადგება. კალმის აღებაც ამიტომ გადავწყვიტე.

რამინ მითაიშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მთელი პასუხისმგებლობა აფხაზეთის მხარეს დაეკისრება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

აფხაზი სეპარატისტები არაფრად აგდებენ რა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის, რუსეთის ფედერაციის ძალისხმევას, საქართველოს ხელისუფლების კეთილ ნებას აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, თავზედურად განაგრძობენ სამხედრო კონფრონტაციას, ახორციელებენ ფართომასშტაბიან საომარ ოპერაციებს აფხაზეთის მოსახლეობის წინააღმდეგ.

1994 წლის 24 მარტს აფხაზმა სეპარატისტებმა და კონფედერანტებმა მძიმე ტექნიკის, განსაკუთრებით არტილერიის გამოყენებით გააფთრებული იერიშები მიიტანეს კოდორის ხეობის აფხაზეთის სვანეთის სოფლებზე ქვემო ლათა, ხუტია, საკენი, ომარიშარა და გვანძრა, რომლებსაც აკონტროლებს საქართველოს ხელისუფლება.

არის ნგრევა და მსხვერპლი, გრძელდება სისხლისმღვრელი საომარი ოპერაციები, იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები, მათ შორის ლტოლვილები აფხაზეთის ქალაქებიდან და სოფლებიდან.

23 მარტს აფხაზმა ბოევიკებმა და დაქირავებულმა მკვლელებმა გადაწვეს საცხოვრებელი სახლები გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში, რიგ სხვა პუნქტებში, დახოცეს ავადმყოფები და უძლური მოხუცები.

ამ სამხედრო ოპერაციების მზაკვრული მიზანია პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტის ჩიხში მოქცევა, „მშვიდობიანი აფხაზეთისათვის"! მოძრაობის ცინიკური გამოწვევა, ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ბოლომდე მიყვანა.

აფხაზური მხარე ხაზგასმულად ცდილობს დამალოს მსოფლიოს საომარი მოქმედების ახალი ესკალაცია, მიჩქმალოს ჩადენილი მხეცობის ფაქტები, არის მცდელობა გამოიყენონ კვლავ რუსეთის საინფორმაციო საშუალებები მორიგი დეზინფორმაციისა და ცილისწამებათა სერიის გავრცელებისათვის ქართული მხარის წინააღმდეგ, საქართველოს ხელისუფლებას გადააბრალონ საომარი ოპერაციის ინიციატივა, მიღწეულ მორიგებათა დარღვევა.

კატეგორიულად უარვყოფთ რა ჩვენი მხრიდან სამშვიდობო ვალდებულებათა რაიმე დარღვევის ფაქტს, მოვითხოვთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მეთვალყურეები დაუყოვნებლივ გააგზავნოს დაპირისპირების ზონაში, დააფიქსიროს აფხაზი ბოევიკებისა და დაქირავებული ბანდიტების მიერ ჩადენილი ბარბაროსობის ფაქტები;

რუსეთის ფედერაციამ არ დაუშვას მისი ტერიტორიიდან დაქირავებული მკვლელების შემოსვლა, აღკვეთოს კონფედერაციის დანაშაულებრივი ტერორისტული ორგანიზაციის უხეში ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში;

არავის არ უნდა ეპარებოდეს ეჭვი, რომ კოდორის ხეობის მცხოვრებლები, თავისუფლებისმოყვარე და შეუდრეკელი სვანი ვაჟკაცები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავენ საქართველოს ამ მნიშვნელოვან პლაცდარმს დროებით ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც არ უნდა დაუჯდეთ, არ დაუშვებენ სისხლიანი მკვლელების წინ წაწევას ამ წმიდათაწმიდა მიწაზე.

გამოვთქვამთ რა მტკიცე პროტესტს აფხაზი სეპარატისტებისა და კონფედერანტების მიერ განხორციელებული ახალი აგრესიისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის გამო, ვაცხადებთ, რომ მთელი პასუხისმგებლობა მისი უმძიმესი შედეგებისათვის დაეკისრება აფხაზურ მხარეს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზურაბ ერქვანია.

ბატონებო და ქალბატონებო!

დრომ აჩვენა, რომ «კაპიტალბანკი» თქვენი საიმედო პარტნიორია. ბანკი განაგრძობს მუშაობას და გელით ურთიერთთანამშრომლობისათვის.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 62,
ტელ: 22-22-27, 29-46-59.

P.S. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გვსურს გაცნობოთ, რომ კომერციული ბანკი „კაპიტალბანკი" ყველა სახის ოპერაციას აწარმოებს დამოუკიდებლად და მას არავითარი კავშირი არ აქვს დ. უზნაძის ქ. № 79-ში მდებარე საინვესტიციო კომპანია „კაპიტალინვესტთან".

კომერციული ბანკი მოსკოვში

აწარმოებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

1. ურთიერთ გადაჰყავს მანეთები და დოლარები ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით.
2. ანაღდებს მანეთებს და მყარ ვალუტას.
3. აძლევს თანხების გადარიცხვას საზღვარგარეთის ნებისმიერ ბანკში.

სხვაგან იკითხეთ კურსები და დარწმუნდებით, რომ ჩვენი კურსი ყველაზე მომგებიანია თქვენთვის!

ცნობებისათვის დარეკეთ შემდეგ ტელეფონებზე
მოსკოვში: (095) 924-94-82, (095) 200-14-13

საქართველო გადასარჩენია!

შენ იცი, რომ მე ვიცი, რომ შენ იცი!

„მითხარი მე, ჰოი, საყვარელო, რა სასიხარულო შეგძინა შენ სიმთვრალემან. სიბრძნე და ჭკუა მოგიმატა, სიმშვიდე და სიწყნარე მოგიძღვნა, სახლით უოფაქცევა განწვალა, ოქრო და ვერცხლი შეგიკრიბა, ღვინო, პური და შესატაგი განგიმრავლა, საუნჯე სიზრდოით აღგავსო, კაცთა დაგამეგობრა, მტერთა დაგაზავა, ცოდვის მიტევებისა ღირსა გყო ანუ სათნოება ღმრთისა გაქნია?..

მეთვრალეთა ვერ დაიმკვიდრონ სასუფეველი ცათა... რამეთუ არავინ მათთაგანმან აღაშენა სახლი სიმდიდრითა, არამედ აღავსო სახლი ვაზშითა და სივლახაკითა".

ეს სტრიქონები სულხან-საბამ სულ სხვა დროში და სულ სხვა სენის გამო დაწერა. საინტერესოა, რას იტყოდა იგი, ჩვენი დღევანდელი ყოფისთვის რომ შეეხედა?

თვითონ დარაჯებს ვინ უდარაჯოს?

ასე მგონია, მთელ საქართველოს გააჟრჟოლა, როცა სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, უნდა ჩატარდეს ძალისმიერი სტრუქტურების მთელი შემადგენლობის შემოწმება ნარკოტიკების მოხმარებაზე და ანალიზისთვის სისხლს პირველი მე ჩავაბარებო.

ალბათ, აფხაზეთსაც მოევლება, სამაჩაბლოსაც, გაძვალტყავებულ კუპონსაც და მონჭლრეულ ეკონომიკასაც: ჩვენი ყველაზე დიდი ტრაგედია მაინც ის არის, რომ შეიქმნა აუცილებლობა განწირულებამდე მისული ამგვარი ფრაზის წარმოთქმისა, და არა მარტო წარმოთქმისა, როგორც ვნახეთ, 15 მარტს მართლაც პირველმა, ედუარდ შევარდნაძემ ჩააბარა სისხლი „გამოსაკვლევად".

რა თქმა უნდა, ეს სიმბოლური აქტი იყო. მის ყველაზე ბოროტ დამაწყევარსაც კი, საკვირველია, მაგრამ, ჯერჯერობით, არ დაუბრალებია მისთვის ნარკომანობა, დიახ, სიმბოლური, რადგან 15 მარტს დაიწყო ყველაზე დიდი ომი საქართველოს გენოფონდის გადარჩენისათვის.

წილი ნაყარია. ვფიქრობ, ეს პროცესი მხოლოდ პარლამენტის კედლებით არ შემოიფარგლება. მთელი მოსახლეობის დისპანსერიზაცია თუ არა, ის მაინც არის აუცილებელი, გამოკვლევა ჩატარდეს... ყველა რანგის პედაგოგებზე და სამედიცინო პერსონალზეც.

ავადმყოფი თუ დამნაშავე?

დღეს პიროვნების უფლებების დაცვის ყალბი კაცთმოყვარული პოზიციებიდან სულ უფრო ხშირად გაისმის, რომ ნარკომანი ბავშვივით მოსაფერებელი საბრალო ავადმყოფია. იგი საშიშია მხოლოდ მაშინ, როცა „წამალი" არა აქვს.

„...რადგან არსებობს საშიშროება მისგან ასოციალური ქცევისა, ეგებ გავათავისუფლოთ პასუხისმგებლობისაგან ნარკოტიკების ხმარებისათვის, ავიყვანოთ აღრიცხვაზე და მივცეთ მას რეგულარულად გარკვეული ოდენობა ნარკოტიკებისა, რომ „წამლისათვის" ძარცვა არ დაიწყოს" („განსხვავებული აზრები ნარკომანიაზე" გ. „დრონი" 11. 11. 93).

უირონიოდ ვეთანხმები ამ სტრიქონების ავტორს მარინე ჭავჭანიძეს მის ქრისტიანულ სულისკვეთებაში, იმაში, რომ ნუ განეიკითხავთ, რათა არ განეიკითხნეთ, იმაშიც, რომ ნარკომანები ავადმყოფები არიან და არა მკვლელები, ღრმა კაიფში მტერსაც კი არაფერს დაუშავებენ, არათუ მოყვარეს, მაგრამ მაინც მინდა, რამდენიმე გულუბრყვილო კითხვა დავუსვა „განსხვავებული აზრების" დამამკვიდრებელ ქალბატონს: — ხომ არა გყავთ შერჩეული ხუროთმოძღვარი, რომელიც საქართველოს ნარკომანების დამტევ ცათამბჯენს ააგებდა, სადაც მათ ვუმკურნალებდით და „რეგულარულად მივცემდით ნარკოტიკების გარკვეულ ოდენობას?" რა ფინანსურ ბაზაზე აპირებთ ამ ცათამბჯენის აგებას, „ჰუმანური დახმარების გამოყენებით ხომ არა? ანდა ამდენ „წამალს" საიდან იშოვით, მსოფლიოს რომელი ნარკობაზარი გაამლობს ჩვენი ბილეჭების მადას? იქნებ ის გაქვთ მხედველობაში, ზვრები ავჩეხოთ და ციტრუსისა და ჩაის პლანტაციების ნაცვლად, ხაშხაში გავაშენოთ? ო-ო, მაშინ მეც სიამოვნებით წამოვკოტრიალდებოდი იმ თქვენს აშენებულ ცათამბჯენში და სიცოცხლის დარჩენილ დღეებს სიამოვნებით გავლევდი ტრანსცენდენტალურ ჰერეტაში.

ჭეშმარიტად, დიდია ცდუნება „განსხვავებული აზრების" გამოთქმისა, მაგრამ რა ვუყოთ რეალობას? თბილისში დიდი ხანია არსებობს ნარკოლოგიური ცენტრი, სადაც ნარკომანებს ანონიმურად მკურნალობენ. ხომ არ დაინტერესებულხართ, ქალბატონო მარინე, აღრიცხულ(!) ნარკომანთა რამდენმა პროცენტმა ჩაიტარა იქ მკურნალობა?

ადრეც დაგეთანხმეთ და ახლაც გიდასტურებთ — ნარკომანი სოციალურად საშიში არ არის, თუ მას „წამალი" აქვს, მაგრამ თუ არა აქვს და, აქედან გამომდინარე, „ლომკები" აწუხებს?

თუ „ლომკები" აქვს, მაშინ კი რატომღაც მეჩვენება, რომ მისი „კრიმინალური აქტივი" მოიცავს ბოროტმოქმედების ხერხთა არა მარტო სრულ ოქტავას, არამედ დანაშაულის ჩადენის ხერხთა მთელ კლავიატურასაც: გამოძალვას, შანტაჟს, „გადაგდებას", ყაჩაღობას, ქურდობას, მკვლელობას...

მე ისიც მინდა დავიჯერო, რომ ნარკომანი საბრალო ავადმყოფია, მაგრამ არ მინდა დავიჯერო, რომ საქართველო საბრალო და ავადმყოფი ადამიანების ქვეყანაა.

მკვლელი № 2

აბა, ერთი ვთქვათ, რამდენი კარგი კაცი დავკარგეთ გზადაგზა, რამდენ მამას შემოაკვდა საკუთარი შვილი, რამდენმა შვილმა გაწირა საკუთარი მამა. თქვენც და მეც კარგად ვიცით მათი ვინაობა, მაგრამ საგაზეთო ეთიკა არ მაძლევს უფლებას, მათ ახლობლებს კიდევ ერთხელ ვატკინო გული.

ოკეანის გაღმიდან კი, ვფიქრობ, არ შემომედავებიან, ამიტომ მკითხველს მხოლოდ იმათ გვარებს შევახსენებ, ვინც ასე სულელურად შემოიღამა თავი შუადღეზე — ბრწყინვალე მუსიკოსები ჩარლზ პარკერი, ჯიმი ჰენრიკსი, ჯიმ ჰარისონი, ჯონის ჯოპლინი და რამდენი კიდევ სხვა.

თუმცა, რატომ სულელურად? ყველა ადამიანს აქვს უფლება, როგორც უნდა, ისე მოექცეს საკუთარ თავს.

ბოლოს და ბოლოს, ვინც დღეს მოკვდა, შანსი დაიტოვა, არ მომკვდარიყო ხვალ. ეს არის და ეს. მათ განკურნება სურდათ, მიიღეს „წამალი" და მოკვდნენ. საშინელი დასასრული არჩიეს დაუსრულებელ საშინელებებს.

ბლეფი

ჩამოყალიბებულ ნარკომანს უკვე აღარა აქვს ეიფორია, კაიფი, ფერადი ზმანებები. მას მხოლოდ დაუსრულებელი საშინელებები სდევს თან და ერთადერთი მიზანი ამოძრავებს — როგორმე იშოვოს წამალი, რომ ტკივილები გაიყუჩოს, კრუნჩხვები მოისპოს. ამ საიდუმლოს იგი მკაცრად ინახავს, რადგან ბუნებით საშინელი ეგოისტია. სურს გაფართოვდეს ნარკომანთა წრე, რათა მას ახალ-ახალი კადრებიდან „დამსახურებისამებრ" თავისი წილი ერგოს.

იმათი გადარჩენა, ვინც ეს-ეს არის გადადგა ან დგამს საბედისწერო ნაბიჯს, ჯერ კიდევ შეიძლება, ჩამოყალიბებული ნარკომანისა კი თითქმის შეუძლებელია.

ნარკომანს ნარკოტიკებისადმი ორგვარი დამოკიდებულება უვითარდება. ორგვარი მონობა — ფსიქიკური და ფიზიკური. ფიზიკური დამოკიდებულების მოსახსნელად მან საკმაოდ რთული — აბსტინენციის სტადია (რასაც ის „ლომკებს" ეძახის) უნდა გაიაროს, რათა სხეულმა ნარკოტიკული შიმშილი დასძლიოს. ნარკოლოგებს ეს ასე თუ ისე ხელეწიფებათ, მაგრამ არ ძალუძთ იმ სოციალური გარემოს განკურნება, რომელშიც მათი პაციენტი ბრუნდება. ამიტომაც ვერავითარი სამედიცინო მეთოდები შედეგს ვერ გამოიღებს თუ ნარკომანს ნარკოტიკისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება არ მოეხსნა. ამ ზღვარს კი თვით ნარკომანი თუ გადალახავს, მეტი ვერავინ. იძულებითი მკურნალობის ეფექტი თითქმის ნულის ტოლია. ასე რომ, წყალწაღებულთა გადარჩენა თვით წყალწაღებულთა საქმეა.

ნოკაუტი

...ხო აზრზე ხარ, გუჯი, საიდან ამოვძვერი, სად ვიყავი და სადა ვარ. ჩემს ნანუშკისთან ჯვარს ვიწერდი სვეტიცხოველში. ორმაგი დოზა შევიკეთე, უფრო მაგარ კაიფში რო ვყოფილიყავი. კინაღამ დავიბრიდე. ნანუშკის ხელით რო არ ვჭეროდი, წავიქცეოდი. ქუთუთოები ერთმანეთს მიეწება, თევზივით მქონდა ამოტრიალებული თვალები. ქორწილის აღარაფერი მახსოვს. მეორე სალამომდე გაგლეჯილი ვეგდე. მთელი თვე ქუჩაში აღარ გავსულვარ. ისეთი კრუნჩხვები მქონდა, ცოტაც და გავგიჟდებოდი. გავუძელი. ძმაკაცებმა რამდენჯერმე მომაკითხეს. არ გავყევი. რო გავყოლოდი, კიდეც გადავყვებოდი და ნანუშკისაც გადავაყოლებდი. ვიღაცამ მითხრა, კაცი რომ გალოთდება, ცოლის ბრალია, ცოლი რო გაბოზდება — კაცისაო. არასოდეს მისწორდებოდა რქების ტარება. რამდენი ვინმე ვიცი, ცოლი რომ აღარ აკაიფებს. ახლა რო შევხვდები ყოფილ „პადელნიკებს" — გაფშეკილებს, ჩაყვითლებულებს, პირზე დუჟმორეულებს, დაკრუნჩხულებს, კბილებჩაცვენილებს — მაგრა მისწორდება. საიდან ამოვძვერი, ტო, რა გამოვიარე, მაგრამ ეტყობა, ეგეც ჩემი ბედი იყო. ერთ რამეზე მაინც გული მწყდება, რა მაყუთი ჩავყარე, მაგის დედა ვატირე. ახლა ის ფული მქონდეს, ჩემს გიას და ნიკას რამე გაუჭირდებოდა? ჩორტ ს ნიმ ს დენგამი. სამაგიეროდ, მე და ნანუშკი რო ჩავუჯდებით სალამოობით, ჩვენი ბიჭების გიჟობანას რო ვუყურებთ, ამაზე მეტი კაიფი, გუჯი, თუ ძმა ხარ, მინდა?

* * *

ცხადზე უცხადესია: ნარკომანია ერთი ადამიანისა და ერთგვაროვანი დაავადება კი არ არის, არამედ მეტასტაზია — შხამია, რომელსაც შეუძლია შებღალოს საზოგადოების ძარღვები.

სისხლი კი განსაკუთრებული წვენია — მასთან თამაში, მით უმეტეს, მისი ფალსიფიცირება მთელი ერისთვის სახიფათოა!

პეტმარ აბაიშვილი,

ინფორმაცია

სიცოცხლის გადასარჩენად

საქართველოში იშვა ახალი მოძრაობა „სიცოცხლისათვის". ახალი არაპოლიტიკური ორგანიზაციის სახელწოდება თავისთავად მეტყველებს — ინიციატორები მიზნად ისახავენ გააერთიანონ ადამიანები, დაეხმარონ მათ ფიზიკურ გადარჩენასა და ღირებულებითი ორიენტირების შენარჩუნებაში, ხელი შეუწყონ და მხარი დაუჭირონ ურთიერთდახმარებას, პატიოსან შრომას, კანონის პრიორიტეტს. როგორც მოძრაობის მეთაურმა პედაგოგმა ნუნუ კენჭაძემ თქვა, მოძრაობის აქტივისტები აპირებენ მოაწყონ საქველმოქმედო ღონისძიებანი, გახსნან უფასო სასადილო გაჭირვებული თანამოქალაქეებისათვის, მხარი დაუჭირონ პირველი საჭიროების პროდუქტთა განაწილების საბარათე სისტემაზე გადასვლას.

ოთხი გოგონა და ერთი ვაჟი

ფუნჯსა და ნახატს „შეპყრობილმა" გოგონებმა თავიანთი ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენაზე მხოლოდ ერთი კოლეგა-ვაჟის თანხლება იკმარეს. ქარვასლაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარასოლის" ინიციატივით მოწყობილ ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა წარდგენაზე თავისი შემოქმედების ნიმუშები გამოიტანეს ნინო ივანიშვილმა, მაიკო მარგიანმა, თეონა წერეთელმა, ლიკა ინაშვილმა და ლაშა მაისურაძემ.

აკი აღარაფერია მოსაპარი?

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ტრანსპორტზე კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის სამმართველომ ბათუმის აეროპორტში გამოავლინა სახელმწიფო ქონების გაფლანგვით დიდი ოდენობით დატაცების ფაქტი.

საბუღალტრო მასალების შემოწმებამ ცხადყო, რომ მხოლოდ ერთ თვეში დატაცებულია ორ მილიონამდე რუსული მანეთი, თუმცა ბათუმის აეროპორტის ხელმძღვანელობა აქტიურად უშლის ხელს გამოძიებას და თავს არიდებს პროკურატურაში გამოცხადებას.

„...სამაგიერო გადაუხადე კბილის ტკივილით"

ექიმის კონსულტაცია: სტომატოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკა და მკურნალობა ამავე დროს შინაგანი ორგანოების და მთლიანი ორგანიზმის დაავადებების პროფილაქტიკაც არის. მასზე სისტემატურად, გამიზნულად უნდა ვიზრუნოთ, რადგან ჯანმრთელი პირის ღრუ საერთო ჯანმრთელობის საწინდარია.

დედის დარიგება: კბილები გაიწმინდე ჯაგრისითა და პასტით, დღეში ორჯერ — დილით და საღამოს. ხმარების შემდეგ ჯაგრისი გარეცხე საპნით.

კომერსანტის რჩევა: ჩემს ჯიხურში იყიდეთ ათას მანეთიანი პასტა, ათასიანი ჯაგრისი, რვაასიანი საპონი.

ავადმყოფთა ჩივილები:

— ცოლ-შვილს ვერ ვუვლი და 32 კბილს ასე როდემდე ვეფერო.

— საჭმელი მაინც არ არის, კბილები რად მინდა!

— ორი ღამე თეთრად გამათენებინა ამ ოხერმა, კუპონებზე კი არავინ ამომძვრო...

ჩვენს გასაჭირზე

ზურაბ ორჯონიკიძე — რესპუბლიკური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

— სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატის თხოვნის საფუძველზე, მთავრობის დადგენილებით შარშან, რესპუბლიკის სტომატოლოგიური პოლიკლინიკა სამედიცინო უნივერსიტეტს დაუბრუნდა. მიზანი: ძველი ტრადიციების განმტკიცება — მაღალკვალიფიციურ ექიმ-სტომატოლოგთა აღსაზრდელად სასწავლო-სამეცნიერო სამკურნალო ცენტრის შექმნა, სადაც თავმოყრილია უნივერსიტეტის ყველა წამყვანი კათედრა. რექტორის თამაზ ხეცურიანის საოცარ გულისხმიერებასა და თანადგომას, აქტიურობასა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქმიან კონტაქტებს მუდამ სიახლე მოაქვს ჩვენი პოლიკლინიკისათვის, რომელიც მეთოდურ დახმარებას უწევს რესპუბლიკის სტომატოლოგიურ ქსელს. ახლახან, ბატონმა რამაზმა ამერიკელი კოლეგების ნობათი — ორი კომპიუტერი საჩუქრად გადმოგვცა.

პოლიკლინიკაში, რომელიც ქართული სტომატოლოგიის დიდი ქომაგის პროფესორ აპოლონ ურუშაძის სახელს ატარებს, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ. მართალია, გვიჭირს სტომატოლოგიური მასალებისა და დანადგარების შეძენა, მაგრამ ვფიქრობთ, ავადმყოფებს საყვედური არ ეთქმით, ასე თუ ისე მაინც ვახერხებთ მათ მომსახურებას. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, „საგანგებო" ბრძანებულებით რომ არ აეკრძალათ ბანკიდან საზღვარგარეთ თანხის გამოტანა, რითაც მასალებს ვიძენდით. ეს ღონისძიება კომერციული სტრუქტურების დასამუხრუჭებლად განხორციელდა, მაგრამ ფაქტობრივად, მარწუხებში ჩვენ მოვიქეცით. ასეთ პირობებში შეძლებისდაგვარად, სამედიცინო უნივერსიტეტისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თანადგომა რომ არა, ალბათ ძალზე გაგვიჭირდებოდა მუშაობა. დიდ დახმარებას გვიწევენ ამერიკული კომპანიის „ექსჯორჯიას" პრეზიდენტი ტრიშ ბლეერი და კომპანიის კოორდინატორი საქართველოში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გია თომაძე.

ადმინისტრაციის პრობლემაა პროფესიონალთა მიგრაცია. დღეს ყველა კომერციული სტრუქტურებისკენ ილტვის. ვერც გამტყუნებ. მარტო 110 ათასი კუპონისთვის ვინ მოცდება? ამიტომ, დასამალი არ არის, ყველა პირობას ვუქმნით ჩვენს შესანიშნავ სპეციალისტებს, რომ შემოსავლის დამატებითი წყაროც ჰქონდეთ. გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ინტერესებიც. მართალია, პროთეზირება, რენტგენი, ფიზიოკაბინეტი და იმპლანტოლოგიის განყოფილება ფასიანია და ძირითადად მათ მიერ შემოტანილი თანხით არსებობს პოლიკლინიკა, მაგრამ ინვალიდების და პენსიონერთათვის მთელი რიგი შეღავათებია დაწესებული.

მაქსიმალურად ვცდილობთ, ღიმილით, სანიმუშო მომსახურებით ავადმყოფებს შევუმსუბუქოთ არა მარტო ფიზიკური, არამედ მატერიალური სიდუხჭირით გამოწვეული ტკივილი.

იცოცხლეთ, უფულო კაცის უფასოდ მომსახურება დიდი მადლია, მაგრამ... დღეს მასალების უქონლობის გამო პრაქტიკულად ყველა სტომატოლოგიური პოლიკლინიკა გაჩერებულია. კერძო სექტორში კუპონიანებს კეთროვანივით იშორებენ, უტრანსპორტობის გამო დაფით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ზემოაღნიშნულ პოლიკლინიკაში მოხვედრა კი არც ისე იოლია. ამიტომ, ნუ გავუმტყუნებთ გამწარებულ ავადმყოფებს, თუ რობერტ ბერნსის ცნობილ სტრიქონებში მცირეოდენ კორექტივს შეიტანენ: „ო, ღმერთო ჩემო, გვიდრებ კივილით, საქართველოს მტრებს სამაგიერო გადაუხადე კბილის ტკივილით!"

ლეილა კოშკაძე.


რადგან ტრანსპორტი არ მუშაობს და ფეხით დავდივარ, მოვითხოვ ფეხსაცმელების კომპენსაციას!
რადგან არ არის ღვინო, მოვითხოვ ფულადი კომპენსაციის სანაცვლო შესაძლებლობა!

წერილი, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით, ამერიკაში საქმიანი გარიგებებისთვის ჩასულმა ბიზნესმენმა ვანო ოქროწონაშვილმა გამოგვიგზავნა. გაუგია „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის თაობაზე დისკუსია გაუმართავთ და ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრებანი შემოგვთავაზა. იმხელა გამოცდილების მქონე ბიზნესმენის აზრს, როგორიც ბატონი ვანოა, მკითხველს როგორ დავუმალავდით!

უთოფო ბიზნესი გადაგვარჩენს!

... **მართალია** დისკუსიები და დებატები ჩემი ამპლუა არ არის (პარლამენტარებისთვის დამითმია), მაგრამ რადგანაც საქმე ქვეყნის ხსნას ეხება, გვერდზე ვეღარ გავდექი.

ახლა ბევრი ამტკიცებს, რომ საქართველო ღრმა ეკონომიკურ კრიზისშია. არავინ დაიჯეროს — დღეს ჩვენთან ეკონომიკური კი არა, ფულის კრიზისია. ჩემი აზრით, ამის ძირითადი მიზეზი მთავრობა გახლავთ. რა დასამალია, ჩვენმა მთავრობამ ვერც თვითონ ისწავლა ფულის კეთება და ვერც ხალხს ასწავლა. მართალია, მაფიოზებმა და მსხვილმა ბიზნესმენებმა (ამათში მეც შევდივარ) დიდძალი ფული დავაგროვეთ, მაგრამ მარტო ამან საქმეს ვერ უშველა. ქვეყანაში შეიქმნა დიდი დისბალანსი — მთელი სიმდიდრე საზოგადოების მცირე ნაწილმა მიისაკუთრა (ეს უნდა ვაღიაროთ), ხოლო ხალხი მშიერი დარჩა. ბაზრები და კომერციული მაღაზიები სავსეა სამრეწველო საქონლით, სურსათ-სანოვაგით (ეს სადაური ეკონომიკური კრიზისია), მაგრამ იმის გამო, რომ ხალხს ფული არა აქვს (რუსულ ფულსა და ამერიკულ დოლარზე მოგახსენებთ), მხოლოდ ნერწყვსლა ყლაპავს.

როგორ მოვუაროთ ამ საქმეს? ან მთავრობა უნდა შევცვალოთ, ან მას (ხალხს) ფულის კეთება ვასწავლოთ. პირველ ვარიანტს (სარისკოა, რა გარანტია გვაქვს, რომ უკეთესით შეიცვლება) მეორეს უფრო ვამჯობინებ, მაგრამ საკითხავია რა გზით ვასწავლოთ? ამაში, ალბათ, გადამწყვეტი სიტყვა ბიზნესმენებმა უნდა თქვან — მთავრობის წევრებს მრჩევლებად სწორედ ისინი უნდა დაუნიშნოთ. ასეთი მრჩევლები არც პარლამენტარებს აწყენდათ — გაუთავებელი კამათი (ნემსის წვერზე რამდენი ეშმაკი დაეტევა?) შეწყდება და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას საქმიანი გეზი მიეცემა.

ამ გეზში, რა თქმა უნდა, ისევ და ის ფულის კეთების (ბიზნესმენისთვის ფულის კეთება და საქმე იდენტური ცნებებია) პერსპექტივას ვგულისხმობ. ვიცი ბევრს გაეცინება, ეს ჩვენი ვანო რა გულუბრყვილო ყოფილა, პარლამენტში ვინც ფულის კეთებისა და სამანეთო ზონაში შესვლის წინააღმდეგ ილაშქრებს, ყველა უფულო ჰგონიაო. არა, ბატონებო, კარგად ვიცი ისინი რა კუპონის მოყვარულებიც არიან (ასე რომ იყოს, შიმშილით სული გასძვრებოდათ), მაგრამ მე პრობლემას მინდა ასე გაუბრალოებულად კი არა, უფრო ღრმა პროფესიული თვალით შევხედო. საქმე ის გახლავთ, ბევრი იმათგანი, ვისაც ჯიბე მანეთითა და დოლარით გაუვსია, უფრო ფულის მშოვნელია, ვიდრე ფულის მკეთებელი. ამ ორი ცნების ერთმანეთში აღრევა კი არ შეიძლება. ფულის შოვნა თანამდებობის, ია-

ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

რალის გამოყენებითაც შეიძლება, მის კეთებას კი ცოდნა, გამოცდილება, გარჯა სჭირდება. ფული კი არ უნდა ვიშოვოთ, უნდა ვაკეთოთ.

ვერ გამიგია, რატომ უნდა მივმართოთ ფულის საკეთებლად იარაღს, როცა ქართველებს საამისოდ უებარი საშუალება — მსოფლიოს ხალხებთან ტრადიციული ნაცნობ-მეგობრობა — გვაქვს (ამ მხრივ მისაბაძია თუნდაც ბატონ კიტოვანის რუსეთის დუმასთან კავშირების გაბმის მცდელობა). კვერნით არ ვიტყვი და მეც ბევრი რამის გაკეთება შემიძლია — ამერიკის კონგრესი და მსოფლიო ბანკი ხომ ჩემი ნაცნობ-მეგობრებით არის დატენილი. ასეა, ზოგს რუსულ დუმაში გაუმართლებს, ზოგს —თურქულ მეჯლისში და... ქვეყანა დაიძვრება.

აქვე ორიოდე სიტყვა უნდა გითხრათ იმის შესახებ, თუ რა უნდა გავიტანოთ საქართველოდან და რა შემოვიტანოთ. თვითკრიტიკულად უნდა ვაღიარო — რაც გასაზიდი იყო, გავზიდეთ და დიდი მოგებაც ვნახეთ (ბიზნესმენებს ვგულისხმობ, თორემ სახელმწიფო ხაზინას კაპიკიც არ შემატებია), თუმცა სხვა გზა რომ არ გვქონდა? სახელმწიფო, მისი საწარმოები აღარაფერს პატრონობდნენ და რომ არ გაგვეზიდა, ქონება ისეც განიავდებოდა. ახლა სასწრაფოდ უნდა მოვახდინოთ საწარმოთა პრივატიზება და რაც გავიტანეთ (სპილენძი, ხეტყე, ლითონები და სხვა), უკანვე შემოვიტანოთ. მართალია, იმას ასმაგ ფასში მოგვყიდიან, მაგრამ მაინც მოგებული დავრჩებით: საწარმო ნედლეულს მიიღებს, სახელმწიფო—საბაჟო შემოსავალს, ბიზნესმენი — განმეორებით ვალუტას.

ასეთია მოკლედ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის თაობაზე ზოგიერთი ჩემი მოსაზრება. ვიცი ოპონენტები გამაკრიტიკებენ — მაგის თეორიები არ გამოგვადგება, ეგ მეფული ბიზნესმენია, ჩვენ კი მეწარმე ბიზნესმენები გვჭირდება, თუ ქვეყნისთვის სიკეთე გვინდა, უმჯობესია მეწარმოებლური ბიზნესი განვავითაროთო. მე ამ აზრს, რომელსაც უმთავრესად მარქსისტული ეკონომიკური მოძღვრებით აღზრდილი მეცნიერები ქადაგებენ, ვერ დავეთანხმები. მათ ავიწყდებათ, რომ მწარმოებლური ბიზნესი საქართველოს ვერ მოერგო და ვერც მოერგება (ჩვენ უფრო ფულის მკეთებელი ხალხი ვართ, ვიდრე მწარმოებელი). ისე, ვნახოთ, ჯერ ფული ვაკეთოთ და, თუ დრო მოგვრჩა, მერე შეიძლება წარმოებასაც წავაშველოთ ხელი.

ვანო ოქროწონაშვილი.

ნიუ-იორკი, 1994 წლის მარტი.

ფეხბურთი

ეროვნული თასის გათამაშების მეოთხედფინალური წყვილებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თბილისის „შევარდენისა" და ფოთის „კოლხეთის" ორრაუნდიანი დუელი. გუშინდელი პირველი მატჩი ფრედ — 1:1 დასრულდა.

6 აპრილს საპასუხო შეხვედრა ფოთში გაიმართება.

მინი-ფეხბურთი

საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის ფეხბურთელებმა ვადამდე მოიპოვეს ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ჩემპიონატის გამარჯვებულთა წოდება. რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის ელგუჯა გუგუშვილის აღსაზრდელებმა ბოლოსწინა, მეოთხე ტურში იოლად დაძლიეს უახლოესი მდევრების — თელავის პედინსტიტუტის სტუდენტთა წინააღმდეგობა — 6:0, 8 ქულა მოაგროვეს და მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდნენ.

კალათბურთი

ვერის ბაღის მიხეილ კიკელიძის სახელობის ბავშვთა საკალათბურთო კომპლექსში დასრულებულ

მიუახლოვდა ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ტური. გთავაზობთ გუშინ გამართულ მატჩების შედეგებს:

„აზოტი"—„შევარდენი" 85:64.
„დინამო"—„მერანი" 99:95.
„კაქტუსი"—„თორი" 81:68.

ჰოკეი

პროფესიულ ჰოკეის აბსოლუტური რეკორდსმენი შედეგიანობის მხრივ ამიერიდან გახლავთ „ლოს-ანჯელეს კინგზის" პოლონური წარმოშობის კანადელი სუპერვარსკვლავი უეინ გრეცკი.

მან ეროვნული ლიგის გუშინწინდელ შეხვედრაში 802-ე შაიბა გაიტანა. ლეგენდარული გორდი ჰოუს მაჩვენებელი (801 გოლი) გააუმჯობესა.

ფიგურული სრიალი

იაპონიაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში.

ვაჟთა ერთეულებში ოქროს მედალი პირველად მოიპოვა კანადელმა ელვის სტოიკომ, რომელმაც უკომპრომისო დავაში შეძლო ფრანგი ფილიპ კანდელოროსა და უკრაინელი ვიაჩესლავ ზაგოროდნიუკის დამარცხება.

ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოველი ალექსი ურმანოვი ამჯერად პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა (IV ადგილი).

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვება [illegible]

სავსე ქართული პატიოსნებით

70 წლისა შესრულდა გიორგი მახარაძე, ჭადრაკის ვეტერანი, ჟურნალისტი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, გადამდგარი პოლკოვნიკი. ომამდე იყო ოზურგეთის ჭაბუკ მოჭადრაკეთა ჩემპიონი და ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდ „სიხარულის" წევრი. სწავლის ფრიადოსანმა ასევე წარჩინებით დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1939 წელს გაზეთი „ნორჩი ლენინელი" აქვეყნებს ყმაწვილი გიორგის წერილს სპორტზე, რამაც ფაქტობრივად განაპირობა მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა. 1945-1946 წლებში გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" აშუქებდა საჭადრაკო ცხოვრებას, ხოლო 1947-1948 წლებში იმავე გაზეთში საჭადრაკო განყოფილებას ხელმძღვანელობდა. „ცისკარი", „დროშა", ჭადრაკის ალმანახი, „შახმატი" (რიგა), „64" (მოსკოვი) ბეჭდავდა მის სტატიებს ჭადრაკის ისტორიის საკითხებზე.

ბატონი გიორგი თერთმეტი წიგნისა და ოთხი ბროშურის ავტორია. მათგან ექვსი ჭადრაკის ისტორიის საკითხებს ეძღვნება. ჭადრაკს ღირსეული ადგილი უჭირავს 1987 წელს გამოცემულ წიგნში „ვაჟკაცსა გული რკინისა", რომელშიც გაშუქებულია სპორტული ცხოვრება საბჭოთა კავშირში მეორე მსოფლიო ომის წლებში, სპორტის ცხრა სახეობაში.

ჭადრაკის თემაზე დაწერილი წიგნებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს 1982 წელს გამოცემულ — „მამაკაცთა პირისპირ", რომელშიაც მსოფლიო საჭადრაკო ისტორიაში პირველად არის მოთხრობილი ჭადრაკის დაფასთან ქალების მეტოქეობაზე ვაჟებთან, უძველესი დროიდან დღემდე. ამის თაობაზე პრესაში თუ წერილობით, ასევე ზეპირ განცხადებებში აღნიშნეს ჭადრაკის ისტორიკოს-პოპულარიზატორებმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ლინდერმა, ნ. სახაროვმა, თ. გიორგაძემ, სახელგანთქმულმა ქალმა, დიდოსტატებმა გაფრინდაშვილმა, ალექსანდრიამ, კელერ-გერმანმა, ჩანკამ, ლაზარევიჩმა და სხვებმა. საუბარში „წამოსცდა", რომ მას სპონსორის მოლოდინში მზად აქვს წიგნის მნიშვნელოვნად შევსებული და განახლებული ვარიანტი იშვიათი ილუსტრაციებითა და საინტერესო პარტიებით.

ასე ხვდება დაბადების 70 წლისთავს ბატონი გიორგი მახარაძე, უკეთილშობილესი, მართალი კაცი, გამორჩეული თავისი პიროვნულობით. საინტერესო მინიატურა გათამაშდა საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელშიც მხოლოდ მან მოიპოვა პირველი თანრიგი, რაც წინათ ძნელი მოსაპოვებელი და პრესტიჟული იყო.

არნშტეინი — მახარაძე. იტალიური. თბილისი, 1945 წელი. 1. e4 e5 2. კc4 მf6 3. მc3 კc5 4. მf3 d6 5. 0-0, ნაადრევია. 5. ... 0-0 ალბათ ჯობდა მსუბუქი ფიგურების განვითარება. 6. d3 კg4 7. კe3 მbd7 8. მe2?! კf3 9. gf c6 10. f4 ლb6 11. კc5 მc5 12. კb3 მb3 13. ab ეfe8 14. მფg2 d5! ხაზების გახსნა გამოავლენს, ხელშესახებს გახდის სისუსტეებს თეთრების პოზიციას, 15. fe მg4 16. ed მe5 17. dc? ლc6 18. f3 მg4! 19. მd4 მe3 20. მფh1 ლf6 არნშტეინი დანებდა.

კიდევ ერთი საინტერესო მინიატურა, რომელიც მოიგო თბილისის ვაჟთა ჩემპიონატში ჩემპიონატის მოწაფემ ოსტატმა თეიმურაზ ლომაიამ.

ნეჩაევი — ლომაია. ორი მხედრის დაცვა, თბილისი, 1982 წელი. 24 გიორგობისთვე. 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კc4 მf6 4. d4 ed 5. 0-0 მe4 6. მd4?! d5 7. კb5 კd7 8. c4 მd4 9. კd7 ლd7 10. ლd4 კc5 11. ლe5 (არ ვარგა 11. ლd5 ლd5 12. cd 0-0-0 ან 11. ლg7 0-0-0) 11. ... ლe6 12. ლc7 ეc8 13. cd? (საჭირო იყო 13. ლb7) 13. ... ლf5 14. ლf4 კf2! 15. მფh1 (აუცილებელი იყო 15. ეf2. ახლა ლომაია მყისვე და ლამაზად იგებს).

ლომაია



ნეჩაევი

15. ... ეc1! და ნეჩაევი დანებდა, რადგან თუ 16. ლc1, მაშინ 16. ... მg3! 17. hg ლh5×.

პირველი მერცხალი

ელისო კაკაბაძე 1948-1951 წლებში საუნივერსიტეტო შეჯიბრებებში დაწინაურდა. მისი სახით ქართველ ქალთა ჭადრაკს პირველად მოევლინა ბრწყინვალე ტაქტიკოსი. მშვენიერი მინიატურა გათამაშებულია საკავშირო ჩემპიონატში.

კაკაბაძე — კაცკოვა. ესპანური. ერევანი, 1962 წელი. 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 კc5 5. 0-0 მf6 6. c3 კa7 7. ეe1 მg4 8. d4 ed 9. cd? მd4! 10. მd4? ლh4! 11. მf3 ლf2 12. მფh1 ლg1!! კაცკოვა დანებდა.

პასუხი ყვარლის რაიონის ახალსოფლის მკვიდრს ირაკლი პატაშურს: სტეინიც-ბარდელებენის პარტიაში (ჰასტინგსი, 1895) 22. ... მფe7 მოჰყვება 23. ეe1 მფd6 (23. ...მფe8 24. მe6 მფe7 25. მc5) 24. ლb4 მფc7 25. მe6 (ან 25. ეc1) 25. ... მფb8 26. ლf4 ეc7 27. მc7 ლc7 28. ეe8×.

ხსოვნა



ბიძინა გულისაშვილი

გარდაიცვალა სატყეო მრეწველობის ცნობილი სპეციალისტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბიძინა გაბრიელის ძე გულისაშვილი.

დაიბადა 1900 წელს. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ლენინგრადის სატყეო-ტექნიკურ აკადემიაში, რომელიც 1929 წელს დაამთავრა. მუშაობდა ლენინგრადის, მოსკოვის, ხარკოვის, კრასნოიარსკის სამეცნიერო ცენტრებში და ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

თბილისში დაბრუნების შემდეგ მან დიდი ძალისხმევა მოახმარა საქართველოში სატყეო მრეწველობის განვითარებას და სათანადო ინსტიტუტების დაარსებას. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითად ინტერესს წარმოადგენდა მთიანი რელიეფის პირობებში ხე-ტყის ტრანსპორტირების საკითხები ჰიდრავლიკური ღარებისა და მილსადენების, საბაგირო გზების, ცალლიანდაგიანი რკინიგზების, აეროსტატების, შვეულმფრენებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ამ საკითხებს მიუძღვნა ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მოპოვებული აქვს რამდენიმე საავტორო მოწმობა, რამაც აღიარება მოუტანა საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს გარეთაც.

დახვეწილი ინტელიგენტი, ღრმად ერუდირებული, საქმისათვის თავდადებული, პრინციპული და კეთილმოსურნე — ასეთი დარჩება ბიძინა გულისაშვილი მისი კოლეგების, თანამშრომლების, მოწაფეებისა და მეგობრების ხსოვნაში.

საქართველოს მრეწველობის სამინისტრო; სატყეო მრეწველობის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი-საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი თანაუგრძნობს თანამშრომელს ნანული ბარათაშვილს მამის

ბიძინა გულისაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საგამოძიებო სამმართველო თანაგრძნობას უცხადებს ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილეს მამუკა კობახიძეს მამის

პავლე იაკობის ძე კობახიძის

გარდაცვალების გამო

რექტორთა საყურადღებოდ

31 მარტს, 11 საათზე, ჰიდროპროექტის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ყაზბეგის გამზ. № 47, III სართული), გაიმართება კერძო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს დამფუძნებელთა კრება.

საინფორმაციო ჯგუფი.

27 მარტიდან ყოველ კვირა დღეს სრულდება აერორეისები მინსკი-თბილისი-მინსკი.
გაფრენა თბილისიდან 16 საათზე.
ბილეთები შეგიძლიათ შეიძინოთ ცენტრალურ სალაროებში.
დაგვირეკეთ ტელ: 95-16-85, 95-38-15.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.